წლიწადი მეორე ფასი 5 კაპ. ოთხშაბათი, 13 იანვარი 1916 წ. № 9

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივ [illegible] პირველ გვერდზე [illegible] კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

## „საქართველო“

1916 წ. წლიწადი მეორე

1916 წ. წლიწადი მეორე

**უპრემიოდ** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ღირს 8 მან. 50 კაპ. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: პირველ იანვრამდე 3 მან., პირველ მაისამდე 3 მან., პირველ ენკენისთვემდე 2 მან. 50 კაპ., თვიურად—80 კაპ.

**პრემიით** გაზეთი წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 10 მან. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: 1 იანვრამდე 5 მ., 1 მაისამდე 3 მ., 1 ენკენისთვემდე 2 მ. ვინც 1 მარტამდე 9 მ. ერთბაშად შემოიტანს, გაზეთს ყველა პრემიით მიიღებს.

### პრემიები:

1) სალიტერატურო კრებული „მერანი“ გამოვა სამ თვეში ერთხელ. ყოველ კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ორიგინალი ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრების მიერ დასურათებული.
2) საქართველოს ბიბლიოთეკა „ჩვენი მრწამსი“ წიგნაკებად, საქართველოს ეკონომიურს და პოლიტიკურს საკითხებზედ. 3) საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური დიდი რუქა.

კერძო მყიდველთათვის თვითეული კრებული ეღირება 1 მან. 30 კ., რუქა—2 მან., საქართველოს ბიბლიოთეკის თვითეული წიგნაკი—50 კაპ.
ფულის გაგზავნა და ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში ქ. თბილისი, მოსკოვის ქუჩა, სახლი გაბაშვილისა № 4. ფოსტის ყუთი 76. (Тифлисъ Московская ул. домъ Габаева № 4. почтовый ящикъ № 76.) და ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზოგადოების ბუხჰალტერთან ვასილ ედილაშვილთან. დეპეშისათვის—თბილისი „საქართველო“.
პროვინციებში ხელისმომწერის მიმღებ აგენტების სია ცალკე გამოცხადდება.
გაზეთის კანტორა ღიაა დილის 9—3 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.
რედაქტორ-გამომცემელი სანდრო შანშიაშვილი.

მიიღება განცხადება

მიიღება ხელის მოწერა

პირველი წელი — პირველი წელი

„საქართველო“-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან სამთვეში ერთხელ გამოვა

## პაზმული და სამხატვრო კრებული
## „მერანი“

კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თიბათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ეღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.
ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.

გაზეთ „საქართველო“-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მ ე რ ა ნ ი“ უფასოდ დაურიგდებათ.

მიიღება განცხადება

ნინა გაბრიელის ასული ივანიცკისა შვილებითურთ: აპოლონი, ტარასი, ვლადიმერ, ნიკოლოზი, სოფიო და რაფიელ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ოთხშაბათს 13 იანვარს ნაშუადღევის 2 საათზე ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარი წლის პანაშვიდი დაუვიწყარ, პირველისა შვილის-შვილის და დანარჩენების დისწულის. გერმანიის ფრონტზე გმირულად დაღუპილ პოდპორუჩიკ

### ნიკოლოზ დავითის ძის
### გულისაშვილის

სულის მოსახსენებლად.

## სახალხო სახლი (კ. ზუბალაშვილის სახელობისა)

ოთხშაბათს 13 იანვარს 1916 წ.
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
პირველად ახალი პიესა

## იუდას მემკვიდრე

დრამა 5 მოქ. სობ-სამარინისა თარგ. კონსტან-ანდრონისა.
**მონაწილეობას მიიღებენ:** დავითაშვილი ნინო, თოიძე ნინო, ქიქოძე ანეტა, ჯავახიშვილი ნ., გუნია ვალერიან, გომელაური ზ., იმედაშვილი ა., იაშვილი გიორგი, მგალობლიშვილი, ქივიძე იოს., სარაული გ., ჭიაურელი გ.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.
ადმინისტრ. ქართული დრამატიული საზოგადოებისა.
**მზადდება** „ჩრდილოეთის გმირნი,“ „უბედურება„ და სხვა.

## 1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

## „ნაკადულ“-ზე

წელიწადი მეთორმეტე

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

### ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

24 წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი
**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.
ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

**ხელის მოწერა მიიღება**

**ტბილისში**—„ნაკადული“-ს რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули“, Головинскій пр № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალაძესთან. **ფოთში**—ლუდმილა მეგრელიშვილთან. **ბათომში**—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში, და ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** დ **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—მარიამ ნაკაშიძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**
**გამომცემელი თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**

## „ახალი კლუბი“

ხუთშაბათს, 14 იანვარს 1915 წ.
გაიმართება **საოჯახო საღამო.** ქართ. დრამ. საზ-ბის დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

## ალიაქოთი კეთილშობილ ოჯახში

კომ. 3 მოქმ. თარგმ. ბაქრაძის მიერ.
მონაწილეობენ: ქ-ნი: ნ. დავითაშვილი, ნ. თოიძე, ა. ქიქოძე, მარგველაშვილი; ბ-ნი: ვ. გუნია, გ. გედევანიშვილი, ა. იმედაშვილი, ს. გომელაური, მ. ჭიაურელი და სხვ.
**თეატრში შესვლა უფასოა.** რეჟის. კ. ანდრონიკაშვილი.
კლუბში შესასვლელს სტუმრები იხდიან: მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმაში) 65 კ., მამაკაცები 1—05 კ.

ექიმი

### მ. დ. წინამძღვრიშვილი

**ყ. ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

ექიმი-დოსტაქარი

### გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნისა დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

კბილის ექიმმა

### მამულაიშვილმა
(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში,** ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

### ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

კბილის ექიმი

### ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე

### კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

11 იანვარი.

**უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. ილლუქსტთან რუსთა არტილერიამ მარჯვე სროლა აუტეხა გერმანელთა რაზმებს, რომელნიც თხრილების გასაკეთებლად მუშაობდნენ. ბუკოვინის რაიონში, შუა სტრიპაზე, რუსთა არტილერიით გაფანტულ იქმნენ მუშები. ქვემო სტრიპის რაიონში საარტილერიო სროლაა. ჩერნოვიცის ჩრდილო - აღმოსავლეთით ნაღმის აფეთქების შემდეგ სასტიკი ბრძოლა მოხდა ადგილის დასაჭერად. გერმანელები პატარ-პატარა ყუმბარებს ხმარობდნენ მოშხამულ გაზებით.

**კავკასიის ასპარეზი.** მტრის დევნის დროს დაჭერილია 700 ასკერი და მრავალი საარტილერიო მასალა. რუსთა არტილერიამ ხელახლად დაუშინა აზრუმის ციხეებს. მელიაზგერთის რაიონში რუსებმა გაჰფანტეს ქურთთა რაზმები.

**ლონდონი.** 10 იანვარი. მტრის ჰაეროპლანმა ღამე რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო კენტის სანაპიროებზე. ერთმა ყუმბარამ ერთ სახლს ცეცხლი გაუჩინა, რომელიც მყისვე ჩააქრეს. ერთი მშვიდობიანი მცხოვრები მოჰკლა, ექვსი დასჭრა.

**ჰავრი.** ბელგეთის ცნობა. ბელგეთის ასპარეზზე არსებითი არაფერი მომხდარა. ზარბაზნის სროლა სუსტად სწარმოებდა.

**კოპენჰაგენი,** 10 იანვარი. ავსტრეთის მთავარი შტაბი იუწყება მთაშავეთი განაგრძობს იარაღის გარდაცემასაო. ბევრს ადგილას იარაღი მთლად ჩაბარებულია. ანტივარისა და დურაცოს ნავთსადგურები დაჭერილია ავსტრიელთა ჯარებით.

**პარიზი,** 10 იანვარი. ბელგეთში ფრანგთა არტილერიამ სროლა აუტეხა მტრის საველე სიმაგრეებს ნიუპორტის რაიონში. არასიდან მიმავალ გზაზე, ლენოში, ნევილ სენ-ვაასტის რაიონში, გერმანელებმა ნაღმი ააფეთქეს და ძლიერი საარტილერიო სროლის შემდეგ იერიშით წამოვიდენ და თხრილების პირველი რიგი აიღეს. ფრანგებმა თავის მხრით მიიტანეს იერიში და მეტი ნაწილი დაიბრუნეს. ნაშუადღევზე გერმანელთ მხოლოდ 200 მეტრის მანძილიღა შერჩათ ხელში. მტერს დიდი ზარალი მოუვიდა. სუასონისა და რეიმსის შუა ფრანგთა არტილერიამ ძლიერ დააზიანა მტრის სიმაგრეები. შამპანში დიდი ზარალი მივაყენეთ მტრის სანგრებს.

ათ იანვარს ფრანგთა მფრინავნი თავს დაესხნენ მეცის ყაზარმებს. 50 ყუმბარა ჩამოაგდეს დანიშნულ ადგილებში. მფრინავებს გზად ათჯერ მოუხდათ მტრის მფრინავებთან შებრძოლება. ყოველგან ძლიერ სროლას უტეხდენ. მიუხედავად ამისა ყველა უვნებლად დაბრუნდენ გარდა ერთისა, რომელიც მეცის სამხრეთ-აღმოსავლეთში ჩამოეშვა.

**ლონდონი,** 10 იანვარი. სამხედრო სამინისტრო იუწყება: დღეს ნაშუადღევზე მტრის ორი ჰიდროპლანი ეწვია კენტის საგრაფოს და ყუმბარები დაუშინა. მათ დაეწივნენ საზღვაო და ჰაერის ფლოტი. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა. ზარალიც სათქმელად არ ღირს.

**პარიზი,** 11 იანვარი. სულ მთელს ფრონტზე სუსტი საარტილერიო მუშაობაა. არტუაში ყუმბარას ისროდნენ ნევილის ბარიკადების წინ. რეას ჩრდილო-აღმოსავლეთით, სომაზე, ჩვენ სროლა ავუტეხეთ სასურსათო ტრანსპორტებს. დღეს დილით 7—8 საათის შუა მტერმა ათჯერ გამოისროლა ზარბაზანი ნანსში.

**ლონდონი,** 10 იანვარი. მესოპოტამიიდან მოვიდა ცნობა: 9 იანვარს გენერალი ელმერი იუწყება, ამ დღეს იერიშით ვეკვეთეთ ოსმალთა პოზიციებს ესსიმთანაო. სასტიკი ბრძოლა მოხდა. გამარჯვება ხან მათი იყო, ხან ჩვენი. ფრიად ავდრიანი დღე ხელს გვიშლიდა მოქმედების განვითარებაში. ნიაღვრებმა საქმე გააჭირა. გენ. ელმერი იძულებული გახდა მტრის თხრილებიდან 1300 იარდით დაეწია და ასე მოშორებით გამაგრებულიყო. ავდარი არ სცხრება. მოხსენებაში აღნიშნულია, ორთავე მხარეს მეტად დიდი ზარალი მოგვივიდაო.

**ათინა.** სტამბოლიდან იტყობინებიან: კავკასიის ასპარეზზე მომქმედი ოსმალეთის ჯარის მთავარ-სარდლად ჰოლც-ფაშა დაინიშნაო.

**პეტროგრადი.** პეტროგრადისა და ლადოგის მიტროპოლიტი პიტირიმი უმაღლეს მთავარ-სარდლის ბანაკში გაემგზავრა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ეგვიპტისაკენ.**

ბერლინში მართლა ჰფიქრობენ ეგვიპტისაკენ გალაშქრებას. ამისათვის დიდძალ ოსმალთა ჯარის გარდა გერმანელებიც ამზადებენ 10 დივიზიას.

**ბულგარეთ-საბერძნეთი.**

საბერძნეთსა და ბულგარეთს დიდი საიდუმლო მოლაპარაკება აქვთ. გავლენიანი გაზეთები სცდილობენ აღნიშნონ ამ ორი ქვეყნის დამაკავშირებელი პოლიტიკური და ეკონომიური მხარეები.

**ბუკოვინაში.**

ჩერნოვიცის ჩრდილო-აღმოსავლეთით რუსებისა და მოპირდაპირეთა ჯარი იმდენად დაუახლოვდა ერთი მეორეს რომ ძალა-უნებურად პოზიციურ ბრძოლაზე გადავიდნენ. ორივე მხარე გაჩერდა. სტრიპისა და დნესტრის მხარეს ბრძოლის ხაზი 40—50 ვერსზეა გაჭიმული. აქ ორივე მხარე სცდილობს მოპირდაპირის ჯარი გაარღვიოს.

**სერბიელთა ჯარი.**

სერბიელთა ჯარი ალბანეთიდან კორფუს კუნძულზე გადაჰყავთ.

**მდ. ნემანის ადიდება.**

მინსკის გუბერნიაში მდ. ნემანი საშინლად ადიდებულა და მიდამო წაულეკავს 16 ვერსის მანძილზე. მტრის სანგრები წყლით არის სავსე. გერმანელი მეომრები მაინც თავს არ ანებებენ სანგრებს. სანგრებამდე ნავებით მიდიან. ზოგიერთ ადგილას გერმანელების ზარბაზნებისა მხოლოდ ტუჩები ღა სჩანს წყლიდან.

**სინას ნახევარ კუნძულზე**

ოსმალებს სინას ნახევარ კუნძულზე დაურაზმიათ ყველა მამაკაცები, ვისაც კი იარაღის მოხმარება შეუძლიან. მათ ეგვიპტისაკენ გასალაშქრებლად ამზადებენ.

**კატაროს მეციხოვნე ჯარი**

ავსტრიელების სამხედრო გემებს კატაროს ნავთსადგურში მოუყარეს თავი. კატაროს მეციხოვნე ჯარი 5000-დან 40 ათასამდე აიყვანეს.

**მთაშავეთის გარშემო.**

გაზეთები სცდილობენ მთაშავეთის მეფე ნიკოლოზს მოკავშირეთა ღალატი მოახვიონ თავზე. სწერენ, ვითომ მთაშავეთის წინააღმდეგ მხოლოდ ავსტრიელების ერთი დივიზია მოქმედებდა, მთაშაველთ კი 25—30 ითასი მეომარი ჰყავდათო. ლოვჩენის აღება ასე ადვილად არ შეიძლებოდა თუ ნებაყოფილებით არ დაჰნებდნენო.

**საბერძნეთში.**

იტალიის ესკადრა კორინთის პირდაპირ მიმოდის. ფრანგების ჯარი ფალერში გადავიდა. ათინის მთავრობა ამ დღეებში მთელ საბერძნეთში სამხედრო წესებს გამოაცხადებსო.

## უკანასკნელი ფოსტა

**რუსეთის ასპარეზი.**

„რ. ინ.“-ს აზრით, დასავლეთ დვინის ნაპირებზე სამხედრო მოქმედება დიდის ხნით იქნება მიწყნარებული. ხოლო მდ. სტირსა, სტრიპასა, დნესტრსა და პრუტზე ეხლანდელი ბრძოლის შედეგი დიდს გავლენას იქონიებს დვინის მიდამოებში მოსალოდნელ ბრძოლაზეო.

**მესოპოტამიაში.**

სამხედრო საქმის მცოდნე~ა აზრით, გერმანელ-ოსმალთა ჯარი კავკასიის ასპარეზზე მთლად დაუძლურებულია. მათ ფეხდაფეხ სდევნის რუსთა პატარა ცხენოსანთა რაზმები.

აზრუმის გზა მხოლოდ დევე-ბინასთან არის რიგიანად გამაგრებულიო.

ქამადანში მომქმედი რუსის ჯარი, და სულთან-აბადში მომქმედი მათი მოკავშირენი მალე შეერთდებიანო. რუსების ჯარსა და ინგლისელთა ჯარის შორის ეხლა 150 ვერსი ღა არისო.

**ულტიმატუმი საბერძნეთს.**

ინგლისმა და საფრანგეთმა საბერძნეთს ულტიმატუმი წარუდგინეს, 48 საათის განმავლობაში ჩვენი მოპირდაპირეების დიპლომატებს პასპორტები ჩააბარეთო.

**მთაშავეთის მეფე ნიკოლოზი.**

გაზეთების ცნობით, მთაშავეთის მეფე ნიკოლოზი მცირე ხანს ლიონში დაჰყოფს, შემდეგ კი პარიზში გაემგზავრება.

**ავსტრიელები მთაშავეთში.**

ავსტრიელები სკადრისაკენ მიემართებიან. დიდი თოვლი მათს წინსვლას აფერხებს.

**საბერძნეთის უარი.**

საბერძნეთის მთავრობამ მოკავშირეებს უარი შეუთვალა, ავსტრია-გერმანეთის დიპლომატებს პასპორტებს არ ჩავაბარებო.

## ბრძოლის ველზე

გასულ დღე-ღამეში ბრძოლის ველზე საყურადღებო არა მომხდარა რა. უმნიშვნელო და კანტი-კუნტი სროლა არტილერიისა თუ ილუკსტთან, თუ სტრიპის შუა და ქვემომდინარეობაში. ჩერნოვიცას ჩრდილო-აღმოსავლეთით მეტად სუსტი ბრძოლა იყო, სადაც გერმანელებს მოშხამული გაზიანი პარკები უხმარია.

დღეს ცოტა ცნობა მოვიდა აზრუმის მიმართულებისა და რაიონის საინტერესო ბრძოლის ველიდან. აღნიშნულია, რომ რუსებს დევნის დროს შვიდასი ოსმალო ჯარისკაცი ტყვედ წამოუყვანიათ და ხელთ უგდიათ საარტილერიო ტრანსპორტი. რუსის ჯარი თითქმის იმდენად მიუახლოვდა აზრუმის პირველ რიგის ფორტებს, რომ ზარბაზნის ყუმბარებს აწვდენს. არ გვაქვს საბუთები რომ შეგვეძლოს ერთი გადაჭრილი აზრი დავასკვნათ იმის შესახებ, თუ რა გზას დაადგება აზრუმამდე მისული რუსის ჯარი, შეუდგება იგი ამ დიდი ციხე-სიმაგრის წესიერ ალყას თუ სხვა მხარესკენ იბრუნებს პირს. თუ სახეში მივიღებთ აზრუმის დიდ რადიუსს, მის მტკიცე გამაგრებულებას და შიგ მყოფ მეციხოვნეთა სიმრავლეს, უნდა ვსთქვათ რომ დღევანდელის ძალებით რუსის ჯარს სერიოზულად ალყაზედ ფიქრი არ შეეძლება. ხოლო მეორეს მხრით ამ დიდი სიმაგრის თავის მხრივ სათანადო უსაფაროდ დატოვება და მის იქით გზის განგრძობა სახიფათო ავანტიურა იქნება, რასაც რუსის ჯარი უთუოდ დაერიდება. ასეთ პირობებში, რუსის ჯარის ასე შორს შეჭრა გაუგებარი დარჩება, თუ რომ ამ ოპერაციას პირდაპირ დანიშნულებად დასახული არ ექნებოდა სპარსეთში მომქმედ რუსის ჯარის შორეული მიშველება და დახმარება. აზრუმის ცხვირის წინ ასეთი საფრთხის შექმნა ოსმალეთის სამხედრო შტაბს აიძულებს თავისი ძალები ახლო-მახლო რაიონიდან დაიბაროს და შეაჩეროს სპარსეთისკენ ჯარების განზრახული გაგზავნა. ასეთ პირობებში სრულიად უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს ზოგიერთი რუსის სამხედრო ავტორიტეტის დეკლარაცია, მალე მთელი ქვეყნიერობა განცვიფრებაში მოვა აღმოსავლეთის ასპარეზზე ჩვენის მოქმედებითაო. ჩვენ გვგონია რომ, უკეთეს შემთხვევაში, მიზანი აზრუმის მიმართულების ოპერაციებისა უფრო ვიწროა და შემოფარგლული.

ლონდონის დეპეშა გადმოგვცემს 10 იანვრის თარიღით, რომ მესოპოტამიაში ესინის გამაგრებულ პოზიციებთან მთელი დღის განმავლობაში, საშინელ ავდარში, ცხარე და შეუბრალებელი ბრძოლა ყოფილა; გამარჯვება ხან ოსმალთა სასარგებლოდ იხრებოდა, ხანაც ინგლისელთა. ბოლოს, ინგლისელები იძულებული გამხდარან უკან დაწეულიყვნენ. როგორც დეპეშა გადმოგვცემს ორთავე მხარეს დიდი ზარალი და მსხვერპლი მოსვლიათ.

**მეგრი.**

### თბილისი, 13 იანვარი.

**სამეგრელოს დღევანდელი ვაება.** დღე ერთია და თავდასხმა და ავაზაკობა მრავალი. მთელი სამეგრელო ბოროტგამზრახველთა და ქურდ-ავაზაკთა თავისუფალ სათარეშოდ გადაიქცა. არავის არ ინდობენ, არც საწყალ და გაჭირვებულ გლეხს, რომელსაც გასასყიდად თავისი ლუკმა გარედ გაუტანია და ორიოდე გროშით შინ ბრუნდება, არც სოფელ-დაბების ვაჭართ, რომელნიც საქონლის სასყიდლად თბილის-ქუთაისისაკენ მოემგზავრებიან; არ ინდობენ მღვდლებს, არ ინდობენ ისე სოფლის შეძლებულ მცხოვრებთ. ერთი სიტყვით, მთელი სამეგრელო დღისით მზისით იძარცვება ფართე შარა-გზაზე, საცალფეხო ბილიკზე, თუ შინ ოჯახში. ყოველგან გლეჯაა, ყოველგან თავდასხმაა, რაიცა უმეტეს შემთხვევაში ადამიანთა სიცოცხლეს იწირავს. ზუგდიდსა და სენაკ შორის დილიჟანებისა და ეტლების მიმოსვლა ნაშუადღევის ოთხ საათის შემდეგ ადგილობრივ მთავრობისაგან აკრძალულია. ამ შოსეზე დაბინდების შემდეგ კანტი-კუნტად მიმავალი ომნიბუსი უთუოდ ავაზაკების მსხვერპლი გახდება. ეს იცის ყველამ, ხმა იქით-იქით გადადის და სამეგრელოს მიყრუებულ სოფელსაც სწვდება. მთელი სამეგრელო საშინელი ტერორის ქვეშ იმყოფება. კაცს ვერ გაგივლია, რომ ყოველ ფეხის გადადგმაზე არ შემოგჩივლონ თავიანთი უმწეობა. ვაჟკაცები ოჯახებიდან გაკრეფილია, შინ ან ქალები და ბავშვებია დარჩენილი, ან კიდევ ჯანგამოლეული მოხუცებული მამაკაცები, რომელთა შიში და რიდი თავზედ ხელაღებულ ავაზაკებს აღარ აქვთ. წარმოუდგენელია ის სასოწარკვეთილება და სულიერი ტანჯვა, რომელსაც მოუცვია მეგრელის ოჯახი.

მას შეჯავრდა ასეთი ყოფა და ვითარება! თვითონ საზოგადოებას წართმეული აქვს ყოველგვარი ინიციატივა და თაოსნობა თავის ცხოვრების მოსაგვარებლად; ხოლო ადგილობრივი მთავრობა, რომელსაც ქვეყნის ბატონ-პატრონობა დაუჩემია, ასეთ ამბების წინაშე გულ-ხელ დაკრეფილი ზის და არავითარ მოქმედებას არ იჩენს. სამეგრელოს მკვიდრნი ერთხმად სჩივიან ადგილობრივ პოლიციის უმოქმედობაზე. ყოფილა შემთხვევა, რომ პოლიციისთვის უცნობებიათ აქა და აქ, ოჯახს თუ მგზავრებს ავაზაკები შეესია და შველა უნდაო, მაგრამ პოლიცია თავის დროზე არ დაძრულა.

გოდების ხმა უფრო შორსაც მიაწოდეს, მაგრამ სამართალი იქაც ვერ იპოვეს. მდგომარეობა დღითი დღე აუტანელი ხდება. უმამაკაცოდ დარჩენილი ოჯახი ვერ აუდის ათასგვარ გასაჭირს; რომელ ერთს ებრძოლოს, შიმშილს, წყურვილს თუ იმ ავაზაკს, რომელიც დაურიდებლად შინ შემოეჭრება და უკანასკნელ ლუკმას აცლის. ქვეყანას სული შეხუთვია. საჭიროა ხანდაუზმელი მიშველება. ქართველმა საზოგადოებამ და პრესამ ამ გარემოებას უნდა სათანადო ყურადღება მიაქციოს. დროა მთავრობამაც მოიშალოს თვისი უმოქმედობა და შეუდგეს ადგილობრივ მკვიდრთან ერთად, თანამშრომლობის ნიადაგზე, ენერგიულ ზომების მიღებას თავაშვებულ მოთარეშეთა ასალაგმავად. პირველი მოვალეობა ამ მხრივ ქუთაისის გუბერნატორს აწევს, რომლის გუბერნიაში ხდება ქვეყნის ეს გამხრწნელი უმაგალითო ბოროტმოქმედება.

## ნინოობა როგორც ეროვნული დღესასწაული

ქართულ კალენდრის უკეკლუცეს ფურცლებად აღიარებულია 14 იანვარი და 1 ღვინობისთვე. ერთიც და მეორეც ქართველი ერის წმინდა საკუთრებაა. მხოლოდ ქართველ ერს შეუძლიან ამ ორი დღესასწაულის უმაღლესი მნიშვნელობა შეიმცნოს, მხოლოდ ქართველ ერს შეუძლიან მათი დაფასება!

პირველი ქართველი ერის განათლებას ჰღაღადებს: ჯვარი ვაზისა,—აი სიმბოლო უმაღლესი რწმენისა; ხოლო 1 ღვინობისთვეს **სვეტი ცხოველობა**,—აი მეორე უდიდესი სიმბოლო ქართველი ერის სისპეტაკის და იმედის განცხოველებისა!

ქართველი ერისთვის ორივე უძვირფასესი სიმბოლოა, მაგრამ უპირატესობა, თქმა არ უნდა, ვაზის ჯვარს ეკუთვნის, ვაზის ჯვარს, რომელიც ძველთა თქმულებით თვით ღვთის მშობლის მიერ გარდმოეცა ნინოს, ჩვენი ერის განსანათლებლად.

რა იყო ჯვარი ვაზისა დღეიდან ქართველი ერის? ბევრი რამ და მრავალი რამ. პირველი და უდიდესი რამ მართლაც სასწაულის თანასწორი გახლდათ, მის სახელთან ერთად აღნიშვნა უდიდესი კატასტროფისა, რაიც მოხდა წარმართ საქართველოს თავზე არმაზის დამხობის დროს. წარმართობა ჩამობერტყილი საქართველო ამ დღიდან ნინოს ჯვრით არის აღჭურვილი, ჯვარი ვაზისა ჰხდება საქართველოს გაერთიანების სიმბოლოდ, მის სახელით კავშირს ვწყვეტთ აზიასთან და კარს ვიღებთ ბიზანტიისკენ, საიდანაც ყოველ ქვეყანაში მოდიოდა სინათლის სხივი, სხივი ახალის განთიადის, ახალის ცხოვრების დასაწყისისას.

ჯვარი ვაზისა ჰქარა საქართველოს გამაჰაბუკებელ თილისმად გარდაიქცა, იგი თვითეულს ქართველს დაქსაქსულ თემებს, სამთავროებს აღავსებს ახალის ძალით, ახალის ენერგიით, ახალის შეგნებით, რომ ყველანი ძმები ვართ, ერთად გვმართებდა ჭირსა და ლხინში ყოფნა, ერთად უნდა გაგვეზიარებინა ბედის მიერ მოძღვნილი ხვედრი.

გაჰქროლა წელთა სიმრავლემ. ჯვარმან ვაზისამ მრავალი დამაბრკოლებელი გზა გაგვათელვინა მეოცე საუკუნოების სარბიელამდე. ვინ, ან რა აღწერს მისი მადლის ჯადოსნურს ძალას? ვინ ან რა აღწერს რაოდენი ღვაწლი მიუძღვის მის მადლის შემოშუქებას? ვინ ან რა აღწერს თუ რა იყო ჯვარი იგი საქართველოსთვის? აღწერა ამისი პირუთვნელ ისტორიას ეკუთვნის; ჩვენ კი, მადლიერს შთამომავლობას, გვსურს მართლა მადლიერნი ვიყვნეთ მისი და სრულიად უყოყმანოდ **უნდა ვიუქმოთ** იგი, როგორც ეროვნული დღესასწაული! დაე, ყურად იღოს ყოველმა ქართულმა დაწესებულებამ, ყოველმა ქართულმა საზოგადოებამ, რომ ჩვენთვის, ქართველებისთვის, ამაზე უმაღლესი დღესასწაული, როგორც **ეროვნული**, არ არსებობს და, მაშასადამე, მისი უქმობაც ისევე სავალდებულოა, როგორც შობა და ნათლის-ღება ყველა ქრისტიანისთვის!

## ახალი ამბავი

**გუშინ, ქართული პრესის წარმომადგენლებს თათბირი ჰქონდათ იმ მდგომარეობის თაობაზე, რომელიც ზოგიერთებმა შეჰქმნეს კახეთის წვრილ კრედიტის კავშირის გარშემო. თათბირმა ერთხმად მიიღო რამდენიმე რეზოლიუცია.**

✦ **მისალოცი დეპეშა.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარემ მ. ვ. მაჩაბელმა გუშინ, 12 იანვარს, ტატიანას სახელობის დღეს, მისალოცი დეპეშა გაუგზავნა მისს უმაღლესობას ტატიანა ნიკოლოზის ასულს.

✦ **სენატმა განმარტა**, რომ საეროზო გადასახადების გასანაღდებლად საჯარო ვაჭრობით არ შეიძლება ცალკე გაიყიდოს ქარხანა უმიწოდ, რომელზედაც აგებულია.

✦ **ქალაქის არჩევნების გარშემო.** გუბერნატორმა არ დაამტკიცა ქალაქის საარჩევნო სიები, რადგან ამ სიების შედგენის დროს ქალაქის გამგეობას რამდენიმე ფორმალური მხარე დაურღვევია. გუბერნატორის გადაწყვეტილება მეფის ნაცვლის საბჭოს გადაეცემის განსახილველად. საბჭო თუ გუბერნატორის გადაწყვეტილებას მიემხრო და საბჭოს დადგენილებას ხელი მოაწერა მეფის ნაცვალმა, იმ შემთხვევაში საარჩევნო სიების შედგენას ისევ უნდა შეუდგეს ქალაქის გამგეობა და არჩევნები წლის ბოლომდე არ მოხერხდება. ხოლო თუ საბჭო არ მიემხრო გუბერნატორის გადაწყვეტილებას, იმ შემთხვევაში გამგეობის მიერ დარღვეული მხარეები გასწორდება და შესაძლებელია არჩევნები ხმოსანთა მოხდეს ზაფხულის დასაწყისში და ანუ ენკენისთვის პირველ რიცხვებში. ასე მოხდება თუ ისე, ამომრჩევლებს არჩევნებში მონაწილეობის მიღების პირობები გაურთულდათ, რადგან ვისაც არჩევნებში მონაწილეობის მიღება სურს, წარსული წლის მაზედ დარჩენილი საქალაქო ვალი უთუოდ უნდა გაისტუმროს.

✦ **მომხმარებელი საზოგადოება** რუსეთში გამრავლდა, ამ ჟამად მთელს რუსეთში 11 ათასი მომხმარებელი ამხანაგობაა, მომეტებულ ნაწილად სოფლებში.

✦ **ქართველ ქალთა საზოგადოებამ** საგანმანათლებლო საზოგადოებათა კავშირში ჩაწერა გადასწყვიტა და აირჩია ოთხი წარმომადგენელი: ქ-ნი განდეგილი, ელ. აღლაძე, ფ. ჭიჭინაძე და ნ. რცხილაძე.

✦ **ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება** ჩაეწერა კავშირში და თავის წარმომადგენლად ამოირჩია ქ-ნი ეკ. გაბაშვილი, ნ. მაჭავარიანი, კნ. ელ. ვეზირიშვილი და დ. მრევლიშვილი.

✦ **დაბრუნდა** თბილისში რუსეთიდან სამრევლო სკოლების ოლქის მეთვალყურე დეკ. ორეხოვი.

✦ **საქართველოს ეგზარხოსი** ყოვლად უსამღვდელოესი პლატონი, როგორც გავიგეთ თბილისში დიდ ხანს არ დაჰყოფს, ვინაიდან სინოდის საზამთრო სხდომებზე უნდა მიიღოს მონაწილეობა.

✦ **ხარფუხის კლუბი.** 10 ამა თვეს, ა. ზ. ღვალაძის თავმჯდომარეობით, შესდგა ხარფუხის კლუბის წევრთა საგანგებო კრება. კრების უმთავრეს საგანს შეადგენდა გადაწყვეტა საკითხისა, კლუბისთვის ახალ ბინის მოპოვების შესახებ, ვინაიდან ის ბინა, რომელიც კლუბს ეჭირა, ჯარების მოსათავსებლად დაიჭირა სამხედრო მთავრობამ და კლუბი ამ ჟამად მოთავსებულია საზაფხულო ბინაზე. კრებამ ამ საგნის შესახებ დაადგინა, რომ კლუბი ჯერ-ჯერობით დარჩეს ეხლანდელ ბინაზე და დაევალოს მამასახლისთა, საბჭოს მონახოს ახალი შესაფერი ბინა. შემდეგ კრებამ, მამასახლისთა საბჭოს წინადადების თანახმად, კლუბს სახელი შეუცვალა და დაარქვა „ახალი საკრებულო“. დასასრულ კრებამ მსჯელობა იქონია იმაზე, რომ კლუბის დაარსების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ბ-ნ გ. შათირიშვილს და ხარფუხის ბევრს მცხოვრებს და სურვილი გამოსთქვა, რომ კლუბის მოგების განაწილების დროს მხედველობაში იქმნას მიღებული ხარფუხის საჭიროებანი და დიდი ნაწილი მოგებისა ამ უბნის სასარგებლოდ გადაიდვას.

✦ **ტრამვაის გარშემო.** ქალაქის გამგეობა ინჟენერ სიმანოვსკის გზავნის რუსეთის დიდ ქალაქებში, ტრამვაის ვაგონებისთვის სხვა და სხვა მასალის შესაძენად.

✦ **შაქარი.** ქალაქის გამგეობა ამ დღეებში ბაქოდან ბლომა შაქარს მოელის, რომელსაც კოოპერატივებს დაურიგებს გასასყიდად.

✦ **ფქვილი.** ქალაქის გამგეობამ ფოთსა და ბათომში ფქვილი შეიძინა და მეპურეებზე ჰყიდის არსებულ ფასებში.

✦ **ჯაბარის დაბრუნება.** ბაქოდან თბილისს დაბრუნდა ქალაქის გამგეობის წევრი მ. ა. ჯაბარი და თავის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

✦ **წლიური კრება.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების წლიური კრება უნდა შესდგეს არა უგვიანეს 1 მარტისა. მთავარმა გამგეობამ დაავალა საზოგადოების მდივანს პავ. საყვარელიძეს შეადგინოს საზოგადოების მოქმედებისა და ფინანსიური ანგარიში განვლილი წლისა. საზოგადოების განყოფილებებს დავალებული აქვთ დაუყოვნებლივ წარმოადგინონ თავიანთი ანგარიშები საერთო ანგარიშში შესატანად.

✦ **ქართველ მოღვაწეთა თავშესაფარი.** ვაჟა-ფშაველას სახელობის თავშესაფარის სასარგებლოდ ხარფუხის კლუბს შეუგროვებია დღემდე 1.222 მან. ამავე საქმისათვის თავად-აზნაურთა თანხიდან გადადებულ იქმნა 10 იანვარს 300 მან.

✦ **ვანის აღწერა.** ბ-ნ პაპაჯანოვის მინდობილობით ბ-ნ ათანასიანს აუწერია ვანის მცხოვრებლები. როგორც აღწერილობიდან სჩანს, ვანში ყოფილა ამ ჟამად მამრობითი სქესისა 2,435 სული, მდედრობითისა 1,516 სული, ბავშვები 919 სული; უკანასკნელთა შორის 201 ობოლია. ეროვნების მიხედვით 2,063 სომეხია და 389 ასირიელი. ბ-ნი ათანასიანი ატყობინებს ა. ი. ხატისოვს, რომ ბინა და პური ყველას მოეპოვება ამ ჟამად, მაგრამ გაზაფხულისათვის საჭირო იქნება სათესლე მასალა, მუშა საქონელი და სამუშაო იარაღი. თუ ყოველივე ზემო აღნიშნული თავისს დროზე არ მოუვიდათ, ხალხი ამიერ კავკასიაში გადმოსახლდებაო.

✦ **გადმოხვეწილთა დახმარება.** ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა ლონდონიდან ბ-ნ თუმანიანისაგან 300 გირ. სტერლინგი მიიღო გადმოხვეწილთა ობლების სასარგებლოდ.

✦ **სურსათი.** 8 იანვარს შემოიტანეს რკინის გზით: ფქვილი 7 ვაგ., ქერი 1 ვაგონი., მარილი 1 ვაგ., კარტოფილი 1 ვაგ., კომბოსტო 1 ვაგ., დამარილებული ხორცი 3 ვაგ. ქონი 1 ვაგ., ქვანახშირი 1 ვაგ., მაზუთი 1 ვაგ., ჩაი 170 ფუთი, ხილი 111 ფუთი.

✦ **ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოებამ**, რომელიც კარგა ხანია არსებობს, 20 წლის წინად, ქ-ნ ა. ბ. მუსხელიშვილის თაოსნობით, დააარსა წერა-კითხვის სკოლა ადგილობრივ ღარიბ ქალთა აღსაზრდელად. სკოლის საღსარს შეადგენდა კერძო შეწირულებანი და შემოსავალი საღამოების გამართვით. ქალაქის გამგეობაც აძლევდა ყოველ წლობით 300 მანეთამდე ფულს. ამჟამად სკოლაში 140 მოსწავლე ქართველია ყველა სარწმუნოებისა და სკოლას 5 მასწავლებელი ჰყავს. მაგრამ ომის გამო შემოსავალი, განსაკუთრებით კერძო შეწირულებანი, სრულებით მოისპო სკოლას და ქონებრივის მხრივ იგი დიდ გასაჭირს განიცდის. ამიტომ საზოგადოების თავმჯდომარე 2.000 მანეთს სთხოვს ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას.

**ქუთაისი.**

— ქუთაისში გადამდებ სენიანთა მოსათავსებელ საავათმყოფოების აგება სისწრაფით მიდის. საავათმყოფოები ამ თვის დამლევისათვის მზათ იქნება. ამ ჟამად ქუთაისში ავადმყოფები გადამდები სენით სულ არ მოიძებნება.

— ქუთაისში ამ მოკლე ხანში მთავრობის ნებართვით ღ. ი. ვიხოვსკის ქალი ხსნის მუსიკალურ სასწავლებელს პირველ დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი კურსებით.

— აკაკის საღამოს გამართვას წელს ქუთაისში ყველა საშუალო სასწავლებლებში აპირებენ.

— ამ უკანასკნელი დღეების განმავლობაში ქუთაისში სანოვაგის ფასებმა საგრძნობლათ აიწია. სოფლებიდან სანოვაგე სულ აღარ შემოდის..

— ქუთაისში ვაჭრებს შაქარი უკვე მოუვიდათ მაგრამ ისევ ნიხრს ზევით ჰყიდიან.

## არქიელის ჩამოსვლა

გუშინ, 12 იანვარს, დილის 10 საათზე თბილისში ჩამობრძანდა საქართველოს ახლად დანიშნული ეგზარხოსი, ყოვლად უსამღვდელოესი პლატონი.

სადგურზე მათ მეუფებას შეხვდნენ მეფის ნაცვალი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე თვისის ორთავე თანაშემწით, წარმომადგენელნი სამღვდელოებისა, თავად-აზნაურობისა, ქალაქისა, სამხედრო და სამოქალაქო ნაწილთა უფროსნი და სხვა წარჩინებულნი პირნი.

სადგურის საგანგებო დარბაზში თავმოყრილთ არქიელი გაეცნო. აქ მოკლე შესახვედრ სიტყვით მიმართეს თავად-აზნაურობის გუბერნიის მარშალმა თავ. კ. ნ. აფხაზმა და ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა.

სადგურიდან ღია ეტლით მეფის ნაცვლის სამოქალაქო ნაწილის თანაშემწის თ-დ ორლოვთან ერთად არქიელი სიონის ტაძრისკენ გაემართა. ეტლს წინ თბილისის პოლიცმეისტერი მიუძღოდა, ხოლო უკან მეფის ნაცვლის ცხენოსანთა რაზმი. გზა-და-გზა დამწკრივებულნი იყვნენ მოწაფენი თბილისის სასწავლებლებისა და მუსიკით ხვდებოდენ. სიონში არქიელის მოსვლამდე მობრძანდა მეფის ნაცვალი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მეუღლით დიდი მთავრინა ანასტასია ნიკოლოზის ასულით და რძლით დიდი მთავრინა მილიცა ნიკოლოზის ასულით. მათ უმაღლესობის მოსვლამდე სიონში თავი მოეყარა ყველა იმ პირთ, ვინც სადგურზე შეხვდა, დანარჩენ დიდკაცობამ წარჩინებულ პირებმა—მანდილოსნებმა და მთელმა თბილისის სამღვდელოებამ ეპისკოპოზ ლეონტისა და ანტონის მეთაურობით.

11 საათზე სიონში მობრძანდა არქიელი. მათ მეუფებას სიტყვით შეხვდნენ ეპისკოპოსები ანტონი და ლეონტი. შემდეგ ეგზარხოსი სიონის სიწმინდეთ—ღვთის მშობლისა და წმ. ნინოს ხატს ემთხვია. მცირე პარაკლისის შემდეგ, რომელიც ჩვეულებრივ დღეგრძელობითა და მრავალჟამიერით დამთავრდა, არქიელმა საგულისხმიერო სიტყვით მიმართა იქ დამსწრეთ.

სიტყვის შემდეგ მეფეს ნაცვალი სასახლეში წაბრძანდა, ხოლო ქალაქის სამღვდელოება შემოსილი თვით ახალ არქიელის პლატონის მეთაურობით გაემართა ლიტანიით არქიელის ეკლესიისკენ. აქ გადახდილ იქმნა პარაკლისი რომლის შემდეგ არქიელმა სამღვდელოებას მიმართა სიტყვით. არქიელის სასახლეში ამ დროს თავ მოყრილნი იყვნენ წარმომადგენელნი ყველა წოდებისა და უწყებისანი, რომელთაც პარაკლისის შემდეგ, ყველას ცალკ ცალკე გაეცნო.

გუშინვე არქიელი სადარბაზოთ იყო მეფის ნაცვალ დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძესთან. მათ უმაღლესობამ დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ გუშინვე გადუხადა არქიელს სამადლობელი დარბაზობა.

## თბილისის არჩევნების გამო

„კავკასკოე სლოვო“ შეეხო თბილისის არჩევნებს. მას არ მოსწონს „ბოიკოტის“ იდეა, რომელიც გაზეთმა „საქართველომ“ წამოაყენა ქართველ ამომრჩევლებისათვის, დღევანდელ საარჩევნო პირობებში და ამბობს:

„ვერას გზით ვერ შეურიგდებით „ბოიკოტის“ იდეას. ამ იდეას მიზნად ეფექტის მოხდენა აქვს დასახული და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამომრჩეველი ამ ანკესს არ წამოეგება და საქმისადმი გონივრულის მოპყრობით კიდევ ერთხელ დაამტკიცებს თავის საზოგადოებრივ სიმწიფესო“.

ჩვენი და „კავკასკოე სლოვოს“ „ქვეყანა“ სხვა და სხვაა. მისგან არ ვითხოვთ: ჩვენი გაიგოს და გაიზიაროს, მაგრამ იმას კი მოვითხოვდით, რომ მისის საზომით ჩვენი საქმეები და ინტერესი არ გაზომოს. თუ „კავკასკოე სლოვოსთვის“ ხელსაყრელია ქალაქის დღევანდელი საარჩევნო წესები, თუ მისთვის შესაწყნარებელია რომ სომხობის უმრავლესობამ, როდესაც მოესურვება, მთელი ქართველობის ხმა ჩაყლაპოს და ქალაქის თვითმართველობაში ერთი ქართველი ხმოსანიც არ გააჰქანოს და როდესაც არ [illegible] სამადლოდ ერთი-[illegible] თავის ხმებით გაიყვანოს,—ჩვენთვის, ქართველებისთვის ეს შესაწყნარებელი არ არის. ქართველების შესვლას ქალაქის თვითმართველობაში სარჩულად სომხობის გუნება და კაპრიზი კი არ უნდა ედვას, არამედ **უფლება**, რომელიც ქალაქის თვითმართველობაში **მიუხედავად** სომხობის ნება-უნებურობისა ქართველობას წარმომადგენელთა შესაფერ რიცხვს მიანიჭებს. ქართველობა იბრძვის ამ უფლების მოსაპოვებლად. ბოიკოტი უტყუარ და საიმედო საშუალებად მიაჩნია. უფლება-მოპოვებული ქართველობა შემდეგში თვით მიხვდება თუ რანაირი წარმომადგენლები იყოლიოს ქალაქის თვითმართველობაში.

ქართველობისთვის ეს იქნება საარჩევნო ბრძოლის მეორე ეტაპი.

## ქალაქის საბჭო

**11 იანვარი.**

კრება გაიხსნა, ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით, ღამის $9\frac{1}{2}$ საათზე.

თავმჯდომარემ კრებას მოახსენა არქიელის ჩამოსვლის ამბავი.

**შეკითხვები:**

**ხმ. ქსავერიევი.** ბაზარში ხორცი არ იშოვება. ყასბებს დამალული აქვთ ხორცი და „კარგ“ მყიდველებს აძლევენ გირვანქას 30—35 კაპიკად. ხოლო „გლახა“ მყიდველებს სრულებით არ უჩენენ ხორცს. რა ღონისძიებას ღებულობს გამგეობა ყასბების გაფიცვის წინააღმდეგ?

გამგეობის წევრი **მ. ა. ჯაბარი.** ყასბების გაფიცვის შესახებ გამგეობამ არა იცის რა, ეს პირველად ესმის გამგეობას. ხორცის სიძვირე მართლაც არსებობს, რადგან საკლავი საქონელი ჯარებისათვის მიჰყავთ და ზედმეტ საქონელს უკანასკნელ ხანებში არ ერეკებიან თბილისში.

**ხმ. ალდადანოვი.** გაზეთებში დაბეჭდილი იყო, რომ ზოგიერთ საავადმყოფოს სრულებით არ ათბობენო. რამდენად მართალია ეს ხმები?

ხმოსანი ეხება ბინების გაძვირებას. სახლის პატრონებმა თითო ოთახს 35—40 მანეთი ქირა დაადვეს თვიურად, ცხოვრება მეტის-მეტად გაძნელდა და რა ღონისძიებას ხმარობს გამგეობა ამის წინააღმდეგო.

გამგეობის წევრი **ა. მ. არღუთინსკი.** ალექსანდრეს საავადმყოფოში ერთხელ მართლაც შემოაკლდათ შეშა. მაგრამ ეს იმით აიხსნება, რომ ხშირად სათბობი მასალის მოტანა საწყობებიდან შეუძლებელია ურმების სიცოტავის გამო.

თავმჯდომარე **ა. ი. ხატისოვი.** სახლების გაძვირებამ მართლაც უკიდურესობამდე მიაღწია და ფრიად საგრძნობელი გახდა. მაგრამ ეხლა სავალდებულო დადგენილება მზად არის და ძალაში შევა, ასე რომ ამის შემდეგ აღნიშნულ მოვლენის წინააღმდეგ სასტიკი ღონისძიება იქნება ნახმარი.

**ხმ. ქობულაშვილი.** მრავალის ფაქტებით ამტკიცებს ვაჭრების თავგასულობას, რომელთა წინააღმდეგ ქალაქის გამგეობა და მისი აგენტები არავითარ ღონისძიებას არ ხმარობენ.

**ხმ. ბაზოვი.** 6 კაპიკიანი შუშა ორ აბაზად იყიდება, გირვანქა ხორცი ექვსშვიდ შაურად! რას უპირებთ მცხოვრებლებს?

თავმჯდომარე **ა. ი. ხატისოვი.** ყველა შეკითხვაზე დაწვრილებითი პასუხის მოცემა შეუძლებელია. ამისათვის დროც არა გვაქვს ეხლა, რადგან ჩვენ წინ გვიდევს ხარჯთაღრიცხვის პროექტი, რომლის განხილვას და დამტკიცებას ყველანი უნდა ვაჩქარიდეთ. მთავრობამ 1 მილიონის კრედიტი გაგვიხსნა საკვების შესაძენად, მაგრამ რაზედ და როგორ უნდა მოვიხმაროთ ეს ფული, ამჟამად ვერას გეტყვით, რადგან, ვიმეორებ, ჯერ ხარჯთაღრიცხვა უნდა დავამტკიცოთ. შემდეგ-კი უპირველეს ყოვლისა სურსათის შესახებ წარმოგიდგენთ გამგეობა შემუშავებულ პროექტს.

**დამატებითი დახმარების განაწილების პროექტი.**

28 ქრისტეშობისთვეს საბჭომ 150.000 მანეთი გადასდვა ქალაქის მოსამსახურეთა დამატებითი ჯამაგირების მოსამატებლად ომიანობის დროს და 5 კაცისაგან საგანგებო კომისია აირჩია, რომელიც ქალაქის გამგეობასთან და მოსამსახურეთა წარმომადგენლებთან ერთად ამ თანხას გაანაწილებდა სამართლიანად. შეერთებულ კრებას შემდეგის წესით გაუნაწილებია დამატებითი თანხა: მოსამსახურეს, რომელიც წლიურად იღებს 360 მანეთამდე, მიემატება 35 პროცენტი, ვინაც 480 მანეთამდე ღებულობს, მიემატება 30 პროც., ვი-

ნაც 600 მანეთამდე—20 პროც., 900 მანეთემდე—20 პროც., 1200 მანეთამდე—15 პროც., 1.500 მანეთამდე და მეტს—10 პროც. ამ სქემის მიხედვით, მოსამსახურეთ უნდა მიემატოთ დამატებით ჯამაგირი 171.250 მანეთი, ე. ი. 14.855 მანეთი მეტი იმ თანხაზე, რომელიც საბჭომ გადასდო.

ამასთანავე გამგეობის მოხსენების მიხედვით, საქალაქო სკოლების მასწავლებელთ შეიძლება სამოსწავლო უწყებამ დაუნიშნოს, ეგრედ წოდეული ღღიური, და თუ ეს მოხდა, იმ შემთხვევაში მასწავლებელთ ქალაქის კასიდან აღარ მიეცემათ დამატებითი სასყიდელი.

საბჭომ შეიწყნარა პროექტი და დაავალა გამგეობას განახორციელოს იგი, სანამ ოქმს ხელს მოაწერდნენ ხმოსნები და აგრეთვე ეს თანხა შეიტანოს ხარჯთაღრიცხვაში.

**ხარჯთაღრიცხვა:**

კრება შეუდგა ხარჯთაღრიცხვის განხილვის განგრძობას და დაუბრუნდა წინანდელ კრებაზე შეწყვეტილ საკითხს ქუჩების მოწესრიგების შესახებ. გამგეობას ქუჩების შესაკეთებლად უვარაუდნია 117.800 მან., მაგრამ გამგეობისა და საბიუჯეტო-საფინანსო კომიის შეერთებულ კრებას ეს თანხა შეუმცირებია და დაუყვანია 45.000 მანეთზე.

გამგეობის წევრი **ა. მ. არღუთინსკი.** ქუჩების მოწესრიგება დიდ თანხას თხოულობს. გამგეობა ამას მუდამ დიდ ყურადღებას აქცევდა, მაგრამ საშუალება არა ჰქონდა განეხორციელებია თავისი გეგმა. ეხლა, რადგან ტრამვაი ჩვენს ხელში გადმოვიდა, საშუალება გვეძლევა მოვაწესრიგოთ ქუჩები. ვადგენთ ტრამვაის ხარჯთაღრიცხვას და როცა სამოსამოსამართლო პალატაში საბოლოოდ გადაწყდება საქმე, ტრამვაი 500—600 ათას მანეთს მოგვცემს. ამ ფულიდან რამდენიმე ასიათას მანეთს ქუჩების გასაკეთებლად გადავდებთ.

**ხმ. ბაბოვი** არ ეთანხმება წინანდელ ორატორს და ამტკიცებს, რომ ტრამვაის შემოსავალ-გასავალზე ჯერ ნაადრევია ლაპარაკი. ტრამვაის საქმე თუ ქალაქის სასარგებლოდ გადაწყდა საბოლოოდ, იმის ხარჯთაღრიცხვას მაინც არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს ქალაქის დანარჩენ ხარჯებთან, რადგან ტრამვაის შემოსავალი ტრამვაის ხარჯებს მოუნდება და შესაძლებელია სესხის აღებაც დაგვჭირდეს. ასე რომ ტრამვაის იმედი არ უნდა გვქონდეს ამ შემთხვევაში და გამგეობის მიერ ნავარაუდევი 117.800 მანეთი უთუოდ უნდა გადაიდვას ქუჩების შესაკეთებლად.

**ხმ. დოლუხანოვი.** სულ ერთია, რამდენი ფულიც უნდა გადასდოს საბჭომ, ის ქუჩების გაკეთებას არ მოხმარდება, რადგან ქალაქს მრავალი ვალდებულება აღევს და როცა ესა თუ ის აუცილებელი ხარჯი იქნება დასაფარავი, უფროსი ბუჰგალტერი ასეთ ნეიტრალ თანხაზე მიუთითებს. ამიტომ უმჯობესია თავი არ მოიტყუილოს საბჭომ დიდი თანხის გადადებ ით და მხოლოდ 45.000 მანეთი გადასდოს, რომელიც ბევრს ვერაფერს გააკეთებს, მაგრამ თავის პირდაპირ დანიშნულებას მაინც მოხმარდება.

გამგეობის წევრი **ვ. დ. ჟურული** აცხადებს, რომ ქუჩების შესაკეთებლად გამგეობა პროექტს წარმოგიდგენთ $1^1/_2$ მილიონ სესხის აღების შესახებ და ამ ჟამად ამა თუ იმ თანხის გადადებაზე ლაპარაკი ზედმეტიაო. თბილისის ქუჩები რომ ცუდს მდგომარეობაშია, ეს ყველასათვის ცხადია, მაგრამ ამ უწესრიგობის დამყარებაში საბჭოსაც უდევს წილი, რომელმაც გააუქმა საგანგებო ინჟინერის თანამდებობა, რომელსაც დავალებული ჰქონდა მხოლოდ ქუჩების კეთება და ეს საქმე მიანდო ხუროთ-მოძღვარს. ამიტომ ორატორს უმჯობესად მიაჩნია საბჭომ ქუჩების საკეთებლად არავითარი თანხა არ გადასდოს და გამგეობას დაავალოს, რომ საქმეს მოახმაროს დროებით თავის შეხედულობით ესა თუ ის თავისუფალი თანხა, აგრეთვე აღადგინოს თანამდებობა ქუჩების მაკეთებელ ინჟინერისა.

შემდეგ კიდევ ბევრის ლაპარაკისა ამ საგნის შესახებ, თავმჯდომარემ ხმა ჩამოუტარა საკითხს. უმრავლესობა 60.000 მანეთის გადადების მომხრე იყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბევრი ხმოსანი უკვე წასულიყო და კანონიერი რიცხვი ხმოსანთა საბჭოში აღარ იყო. ამ რიგად საკითხის გადაწყვეტა ისევ შემდეგისათვის გადაიდვა.

## რუსეთის საფინანსო პოლიტიკა

რადგან დღევანდელმა ომმა ნათელჰყო არსებული საფინანსო სისტემის უვარგისობა და მოუწყობლობა, ამიტომ ძალაუნებურად დაიბადა საკითხი ახალ საფინანსო სისტემის შემუშავებისა. საზოგადოდ რუსეთის მთავრობა პეტრე დიდიდან დაწყებული საფინანსო პოლიტიკაში მხოლოდ ერთის გარკვეული პრინციპით ხელმძღვანელობდა; როდესაც სახელმწიფოს ფული უჭირდა, იგი სცდილობდა აუცილებლივ ეშოვა. რა გზით, ან და როგორ ეს,—მისთვის სულ ერთი იყო. არავითარი მარტივი გეგმა, ცოტად თუ ბევრად დაკავშირებული რუსეთის ეკონომიურ ძალთა განწყობილებასთან, არასოდეს არ ჰქონია. თავდაპირველათვე საბაჟო გადასახადის შემუშავების დროს მთავრობას მხოლოდ ფისკალური მიზანი ჰქონდა და არა რუსეთის მრეწველობის მფარველობა. სცდილობდნენ მხოლოდ, რაც შეიძლება მეტი ფული აეღოთ. სწორედ ამასვე ვხედავთ სამრეწველო გადასახადებშიაც. საზოგადო ცნობილია, რომ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი მეტად ხელსაყრელ და ბეჯით ხარჯის გადამხდელათ ითვლებიან. მთავრობაც ამით სარგებლობს და რაც შეუძლიან უმატებს და უმატებს გადასახადებს. არყის მონოპოლიასაც მიზნათ მართლა ის კი არა ჰქონდა, ვითომც რუსეთში ლოთობა მოესპო. ეს მხოლოთ ერთი იმ მთავარ საშუალებათაგანი იყო,რ ომლის მეოხებითაც სახელმწიფო აუარებელ ფულს აგროვებდა ხაზინაში.

ნამდვილად კი საფინანსო პოლიტიკის მთავარი დანიშნულება უნდა იყოს, რაც შეიძლება ხელი შეუწყოს საწარმოო ძალთა განვითარებას.

ამ მოსაზრებას კი არც დღეს იღებენ მხედველობაში. ის პროექტი, რომელიც ფინანსთა მინისტრად ნამყოფმა პოკროვსკიმ წარადგინა არსებითად ახალს არაფერს შეიცავს. ამ პროექტში დაწვრილებით არის აღნიშნული ის შეხედულობა, რომელიც ბ. კარპოვმა, როგორც მსხვილ მემამულეთა ინტერესების დამცველმა სახელმწიფო საბჭოს საფინანსო კომისიის წევრებს გააცნო. უკანასკნელის აზრით, მთავრობას შეუძლიან ყოველნაირი გადასახადი დააწესოს, მხოლოდ მსხვილ მემამულეებს კი თავი უნდა ანებოს. ფული არა გაქვთ, ამბობს კარპოვი, წაართვით გერმანეთს კონტრიბუცია და ყველაფერი მოეწყობაო. შემოსავლის დაგვარად გადასახადის შემოღება ამ .წარმომადგენელის და მასთან მთავრობის აზრით საშინელი რევოლიუციონური აქტი იქნება და სამშობლოს განსაცდელში ჩააგდებს.

ძალიან ხელსაყრელ და საღ საფინანსო საშუალებად მთავრობას ისევე მონოპოლიები მიაჩნია. კერძო ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება და საერთო ეკონომიურ ძალების აღორძინების ხელის შეწყობა ეტყობა არც დღეს-დღეობით აქვს განზრახული მთავრობას.

ა. ა.

## აჭარის გასაჭირი

(მოხსენება მეორე, ქედისა და ცხომერის სასოფლო საზოგადოების სოფლების გამოკვლევა ქვედა-აჭარაში, ბათომის ქალაქის მოურავის თ-დ ი. ზ. ანდრონიკაშვილის მიერ).

19—20 ენკენისთვეს,—სწერს თ-დი ანდრონიკაშვილი,—გამოვიკვლიე ქედისა და ცხომერის სასოფლო საზოგადოებანი, ქვემო აჭარის ნაწილში. (ბათომის ოლქი). ეს სოფლები მდებარეობს აჭარის წყლისა და მისი ტოტების ხეობებში. ადგილ-მდებარეობა ამ ხეობებისაც ისეთივეა, როგორც მაჭახლის ხეობისა, ისეთივე ხშირი ხევები, დაქანებული ფერდობები, ათასგვარ ხეებით შემოსილი წამოწვდილი მთის კონცხებში, რომლებიც მეზობელ ადგილებს ერთმანეთისაგან ჰყოფს და მიმოსვლას აძნელებს. აქაც იგივე ჰავა და ისეთივე სოფლის მეურნეობა. მაჭახლის ხეობისაგან ეს მხარე იმითი განირჩევა, რომ უფრო დიდებული, გაშლილი ადგილია და უფრო მჭიდროდ დასახლებული. აჭარის წყალი უფრო დიდია მაჭახლის წყალზე. მთელს ამ ხეობას შუა ჰსერავს გზატკეცილი ბათომ-ახალციხის შემაერთებელი და ამ მხრივ აჭარის წყლის ხეობას დიდი უპირატესობა აქვს მაჭახლის ხეობასთან.

ეს გზა დიდათ აადვილებს მიმოსვლას ბათომსა თუ სხვა პატარა საალებმიცემო ადგილებთან და თავის გავლენასაც აჩნევს ამ კუთხის ზნეჩვეულებასა და ნივთიერ კეთილდღეობაზე.

ასეთი გზატკეცილის წყალობით ამ ხეობაში მუდამ მიმოდის კერძო პირთა დილიჟნები სოფ. ქედიდგან ბათომამდე: რამდენიმე საალებმიცემო ადგილც გაშენდა ამ გზის მეოხებით. სოფ. ქედაში არის სამაზრო სამართველო, აქვე არსებობს სამინისტრო პირველ დაწყებითი სასწავლებელი, სდგას მცირე ჯარი რაზმის უფროსით და სხ. ბათომ-ახალციხე-აბასთუმან შორის ამ გზით მიმოდის ფოსტაც. ყველა ეს ამ ხეობას სიცოცხლის ნიშანწყალს აძლევს და ადგილობრივ მეურნეობაზედაც გავლენას ახდენს. მართალია აქაც სოფელსა და სოფელ შუა მხოლოდ საცალფეხო ბილიკებია $1^1/_2$—2 არშინის სიგანისა, ადგილ ადგილ საშინლათ მიხვეულ-მოხვეული, დაქანებული და ქვაღორღიანი, მაგრამ ხერთვისის ხეობასთან შედარებით მაინც უპირატებობა აქვს ამ კუთხეს, რადგანაც სასოფლო ბილიკები შარა გზას უერთდება და ერთგვარად მაინც აადვილებს მიმოსვლას. თუმცა მდ. აჭარის წყალის მარცხენა მხარეს მდებარე სოფლები ერთმანეთში მხოლოდ საცალფეხო ბილიკებითაა შეერთებული და გზატკეცილით სარგებლობას მოკლებულნი არიან.

ამ მხარეს მეურნეობასაც სხვა ხასიათი და ელფერი აქვს. აქ ძალიან გავრცელებულია მეთამბაქოება, მაჭახლის ხეობაში კი თამბაქო სრულებით არ მოჰყავთ და თუ ვისმე მოჰყავს ისე მცირე, რომ სათქმელიც არ არის.

ამ ტყით შემოსილ მთიან ადგილებში, როგორც მაჭახლის ხეობაშიაც, მკვიდრნი ჰკაფავენ ახოებს, სთესენ გამუდმებით 5—8 წელიწადს, შემდეგ 10—15 წელიწადს ხელუხლებლად სტოვებენ, ასვენებენ მიწას, კვლავ ტყე ამოიფეთქს და ხელმეორედ შეუდგებიან ახოს გაჭრას და სთესენ კიდევ 5—8 წელიწადი. ახოს გაწმენდის დროს მთელი ხის ძირ-ფესვებს თუ ჯაგს ადგილობრივე სწვამენ ადგილის გასანოყიერებლად.

მთელს ხეობაში ამ წესით ხმარობენ ცოტათ თუ ბევრათ გამოსადეგ ადგილებს, რომლებსაც ან აჩაჩით სხირჩქნიან ან თოხით. მთის კალთების ძირად მოსახლეობის მახლობლად ხშირად ნახავთ უფრო ფართეთ გაშლილ ხოდაბუნებს, რომლებსაც თავის დღეში აღარ აქცევენ ჯაგნარად. აქ ითესება თამბაქო ან სიმინდი. ამ ხეობაში თითო ოჯახი იმდენს მაინც დასთესს, რომ 100—200 ფუთი სიმინდი მაინც მოუვიდეს. ასე რომ ოჯახისათვის საკმაო სიმინდი მოსდით, ზოგს მოსჭარბდება კიდეც, თუმც ზოგს შეშეიძლება არ გასწვდეს ახალ მოსავლამდე.

ადგილობრივ მკვიდრთ დიდს შეღავათს აძლევს ხილის გაყიდვა. ბაღოსნობას თუმცა დიდად არ მისდევენ, მაგრამ ბლომად ჰყიდიან ვაშლს, მსხალს, კაკალს. აქ საკუთრივ ხეხილის ბაღები არა აქვთ; ხნულების თავსა თუ ბოლოში აქა-იქ უდგათ ხეხილები კარზე და აგრეთვე ტყეში. აქვე მისდევენ მეფუტკრეობას. მეხილეობა და მეფუტკრეობა იმდენ შემოსავალს აძლევს, რომ ყოველგვარ სახელმწიფო ხარჯ-ბორჯს აშორებს და ოჯახში საჭირო ნივთების შეძენასაც ახერხებენ. ვაშლი ფუთი საშუალოდ იყიდება 60 კ., კაკალი 3 მან. ამისი მუშტარი უმთავრესად ბათომიდან ჩამოსული სპარსელებია.

მესაქონლეობა და მეფუტკრეობა აქ უფრო ნაკლებ არის გავრცელებული, ვიდრე ხერთვისის სასოფლო საზოგადოებაში.

(დასასრული იქნება)

## საგულისხმო მოხსენება

(წერილი ქუთაისიდან)

ამ ახლო წარსულში ბ. ალექსანდრე გარსევანიშვილმა ფრიად საგულისხმიერო მოხსენება წარადგინა ქ. ქუთაისის სამასწავლებლო კომისიაში, ამ უკანასკნელის დავალებით. მოხსენება შეეხებოდა მდაბიო მოქალაქეთა და ქალაქის ღარიბ მცხოვრებთათვის გონებრივ გასართობების მოწყობის საკითხს. ბ. გარსევანიშვილმა თავის მოკლე, მაგრამ შინაარსიან მოხსენებაში ნათლად აღნიშნა ისტორია, ევროპის სახელმწიფოებში—როგორ განვითარდა იდეა ხალხის გონებრივ გასართობების მოწყობისა და შემდეგ როგორ ხორცი შეესხა ამ ღვთიურს იდეალს სახალხო სახლების გამრავლებით...

არასოდეს რუსეთის მთავრობა ისე ხელ-გაშლილად არ მოჰკიდებია ხალხის განვითარების საქმიანობას, როგორც ეხლა, არაყით ვაჭრობის გაუქმების შემდეგ,—ასეთი ზეპირ წინასიტყვაობით მიმართა ბ. ალექსანდრემ სამასწავლებლო კომისიის წევრებს და შემდეგ დასძინა, რომ ჯერ კიდევ არც ისე შორეულს წარსულში—სახელდობრ 80 წლებში ინგლისში და გერმანიაში პირველად სცადეს მოეწყოთ ისეთი კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებანი, სადაც გარდა გადასახადით ხელმისაწდომ წარმოდგენებისა ემართნათ იაფ-ფასიანი ლიტერატურულ-მუსიკალური საღამოები და სხვა და სხვა ხელოვნურ და მხატვრულ ნაწარმოებთა გამოფენები და სხვა.

ასე ჩაეყარა საძირკველი სახალხო სახლს. შემდეგ სახალხო სახლების გამრავლება განვითარების პროცესი ერთნაირად არ მიმდინარეობდა ყველა სახელმწიფოებში, ყველას გერმანიამ უსწრო. აქ იმ თავითვე სანაქებოდ მოეწყო სახალხო სახლების საქმე და ხალხის გონებრივ გასართობ-გასანვითარებლად მრავლად მოეწყო სხვა და სხვა ორგანიზაციები, რომელთაგან სისტემატიურად იმართებოდა იაფ-ფასიანი და ხშირად უფრო სახალხო ლექციების კითხვა, წარმოდგენების მართვა და უფრო კი ხშირად სალიტერატურო-სამუსიკო საღამოების მოწყობა. ერთი სიტყვით ამ ჟამად მთელი სახელმწიფო (გერმანია) მოდებულია სახალხო სახლებით, არ არის პატარა ქალაქი და მოზრდილი სოფელი რომ სახალხო სახლი არ არსებობდეს. მათ შესაერთებლად დაარსებულია სამი ცენტრალური ბიურო, რომელნიც აკავშირებენ და განაგებენ ყველა დანარჩენთ. ამ კავშირმა ნაყოფი გამოიღო და მისი წყალობით დღეს ყველა გერმანელს ადვილად შეუძლიან მოისმინოს გამოჩენილი კომპოზიტორის ნაწარმოები, ინახულოს ხელოვნური სიცოცხლის სულის ჩამდგმელ მხატვრების სურათები, მოისმინოს ყოველ საჭირბოროტო საკითხებზედ შინაარსიანი ლექციები და სხვა.—გერმანეთს ფეხდაფეხ მოსდევს ავსტრია-ჰუნგრეთი, მაგრამ აქ ჯერ-ჯერობით უპირატესობა არ ეტყობა ამ დარგს ხალხის ბედნიერებისას.

ინგლისშიც 80 წლებში დაიწყეს ხელის მოწერით ფულის შემოწირულებათა კრეფა ქ. ლონდონში სახალხო უნივერსიტეტის ასაგებად. შეაგროვეს რა ერთი მილიონი მანეთი 1887 წელში ააგეს შენობა რომელსაც სახელად უწოდეს „სახალხო სასახლე“.

ხალხის გონებრივ გასართობების იდეია რუსეთშიც 80 წლებში გაჩნდა. 1882 წელს დრამატურგმა ა. ნ. ოსტროვსკიმ შუამდგომლობა აღძრა იმპერატორ ალექსანდრე III-თან; სამწუხაროდ მაშინ ეს თხოვნა მრავალ მიზეზთა გამო უყურადღებოდ იქმნა დატოვებული. წარსულ საუკუნის მიწურულში კი ქ. მოსკოვში აღორძინდა სახალხო გასართობთა მომწყობი საზოგადოება“. ჯერ-ჯერობით მათი სურვილი იყო დაეარსებინათ ძველს სატახტო ქალაქ მოსკოვში დიდი სახალხო თეატრი, სადაც უნდა მოწყობილიყო რამოდენიმე ათეული პატარა სცენა. ეს ვერ მოახერხა ამ საზოგადოებამ სხვა და სხვა მიზეზებისა გამო. მხოლოდ ამ ორი წლის წინად ქ. მოსკოვი ადგილობრივ მეურნეობის უმთავრეს სამმართველოს დახმარებით გამშვენიერდა რამდენიმე სახალხო სახლით...

პეტროგრადში უფრო უკეთ მიდის საქმე. აქ აგერ ათი წელიწადია რაც არსებობს სახალხო სახლი იმპერატორ ნიკოლოზ II-ის სახელობაზედ. ამ სახლში ხშირად ინახულებთ ისეთ წარჩინებულ ქურუმთ, როგორც შალიაპინი და სხვები არიან. პეტროგრადს მიჰბაძეს ბევრმაც. ჩვენს სამშობლოში კი მარტო თბილისია ბედნიერი. თბილისში არსებობს სახალხო სახლი, რომელიც კერძო პირის ხარჯით არის აშენებული. ქუთაისში და სხვაგან აოსად არსებობს სახალხო სახლი, თუმცა მათი მოთხოვნილება დიდია.

ამ მცირე მიმოხილვის შემდეგ ბ. გარსევანიშვილმა ასეთი რეზოლიუცია წარუდგინა სამასწავლებლო კომისიას: „ეთხოვოს ადგილობრივ მეურნეობის უმთავრეს სამმართველოს“ პირველი, რომ დროებით ფულით დახმარება გაუწიოს ქ. ქუთაისს სახალხო გონებრივ გასართობთა მოსაწყობად, სიფხიზლის განსამტკიცებლად; მეორე, ეთხოვოს იმავე დაწესებულებას ერთდროული დახმარება 100,000 მანეთით.

მოხსენებას სათანადო ყურადღება მიექცა და შესაფერი ნაბიჯიც გადაიდგა.

ურბნელი ვასო.

## რკინის გზის მთავარ სამართველოში

პრესა და საზოგადოება ერთობ ნაკლები ყურადღებით ეტანება სხვა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების მდგომარეობას. თუ დრო-გამოშვებით რამე ცნობები მოთავსდა გაზეთებში მათ შესახებ, ის მხოლოდ ჯამაგირების მომატებას ეხება, ან კიდევ ისეთ განკარგულებას, რომელსაც ასეთი თუ ისეთი მნიშვნელობა აქვს საერთოდ მხარის ცხოვრებისათვის. როგორია თვით მოსამსახურეთა შორის დამოკიდებულება, ან მდგომარეობა ეგრედ წოდებულ „ადგილობრივ ელემენტისა“, ამის შესახებ ცნობები ნაკლებად მჟღავნდება პრესაში. ჩვენც მიზნად არ დაგვისახავს ასეთი რთული მოვალეობის კისრება, რადგან ეს დღევანდელი საერთო მდგომარეობის გამო უხერხული და თან შეუძლებელიც არის. არ შეგვიძლია მხოლოდ გვერდი ავუქციოთ ერთ ინციდენტს, რომელსაც ადგილი ჰქონდა მოძრაობის სამსახურში (Служба Движенія) გასულ წელს.

მოძრაობის სამსახური, როგორც სხვა მრავალიც, მოთავსებულია ამიერ კავკასიის მთავარ სამართველოს შენობაში. თვითეული სამსახური შესდგება სხვა და სხვა განყოფილებათაგან. მოძრაობის სამსახურის ერი ასეთ განყოფილების, სახელდობრ, ტეხნიკური ნაწილის საქმის მწარმოებელს ბ-ნ **მაკკავეევს** ისეთი ატმოსფერა შეუქმნია სამსახურში, რომ განსაკუთრებით მის ხელქვეით მოსამსახურეთა მდგომარეობა მეტად აუტანელი ხდება. გასული წლის დეკემბერში ბ-ნი მაკკავეევი სამსახურის საქმეებისა გამო უბრალო ახსნა-განმარტების დროს ისეთ ულაზათო და თან დამამცირებელ სიტყვებით გამასპინძლებია თავის ხელქვეით მოსამსახურეს **მეფარიანს,** რომ ამ სცენის გაზეთის ფურცლებზე გადმოცემა პირდაპირ შეუძლებელად მიგვაჩნია. ქართველობის დამამცირებელი უმსგავსი ეპიტეტი გინდ ფრაზა კვლავაც გვსმენია, მაგრამ კაცობრიობის ამ უდიდეს განცდათა დროს ასეთ ლექსიკონს თუ მიმართავდა რომელიმე რუსი მოხელე ქართველთა გასაწბილებლად სწორედ რომ არ გვეგონა. ეტყობა ბ-ნ მაკკავეევისა და ძმათა მათთათვის ისტორიული ქართ[ვ]ელი ზარბაზნების ჰექა-ქუხილის მეტს არას შეიცავს. რასაკვირველია მაკკავეევის საქციელი უპასუხოდ არ დარჩებოდა. შეურაცყოფილს ბ-ნ მეფარიანს დაუწერია რაპორტი და მიურთმევია ბ-ნ მოძრაობის სამსახურის უფროსისათვის. ამბობენ ეს საქმე ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსის ყურამდეც მივაო. ყოფილა აგრეთვე შემთხვევა, რომ მაკკავეევის საერთო ქცევისა გამო არა ხელქვეით რუს მოსამსახურეებსაც შეუტანიათ რაპორტი სამსახურიდან გადადგომის თაობაზე. ვნახოთ ეხლაც ისევ დაუსჯელად დარჩება ბ-ნი მაკკავეევი, თუ მიიღებს ღირსეულ ჯილდოს თავის შეუფერებელ მოღვაწეობისათვის.

გარეშე.

## 1915 წლის ქრონიკა

გიორგობისთვე.

მეფის ნაცვლის თავმჯდომარეობით დაიწყო სასახლეში კავკასიის ქალაქთა წარმომადგენელთა კრება სიძვირესთან საბრძოლველად.

— ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ დაადგინა შეადგინოს დასი და წარმოდგენები მართოს.

— მ. ვ. მაჩაბელმა აცნობა პეტროგრადიდან ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას, სამინისტრომ 60 ათასი მანათი გადასდო საზოგადოების განკარგულებაში გამოქცეულთათვისო.

— ინგლისის მწერალი ბ-ნი ვილიამსი მეუღლით ქუთაისს გაემგზავრა.

— ტატიანას კომიტეტმა ერთდროულად 37 ათასი მანათი გაიღო ქართ. საქველმოქმედო საზოგადოების განკარგულებაში და ყოველთვიურად 11 ათასი.

— მეფის ნაცვალს წარუდგა პოლკოვნიკი ესაძე და წარუდგინა თავისი ნაშრომი კავკასიის სამხედრო ისტორიიდან.

— საარტისტო საზოგადოებაში ვ. ა. გურკომ მრავალ საზოგადოების თანადასწრებით წაიკითხა ფრიად საგულისხმო ლექცია, „ქალის კულტი საქართველოში“.

— ქვაშვეთის ეკლესიაში საქართველოს ექსარხოსს პიტირიმს პეტროგრადში წასვლის წინ ქართველი საზოგადოების ერთმა ჯგუფმა პატივი სცა და პარაკლისის შემდეგ პანაგია მიართვა.

— გაემგზავრა პეტროგრადს ექსარხოსი პიტირიმი.

— ქართ. საქვ.-მოქმ. საზოგადოებამ სასურსათო კომისია დააარსა, მცხოვრებთა უზრუნველ საყოფელად სურსათით.

— ამავე საზოგადოებამ მცხოვრებთა გაჭირვების ასანუსხავად გაგზავნა ა. ფ. ყიფშიძე—ახალციხე—ახალქალაქის მაზრებში, ხოლო დასავლეთ საქართველოში პ. საყვარელიძე და პ. ქავთარაძე.

— ამავე საზოგადოებაში მოხდა ქართველ ექიმთა თათბირი აჭარაში სამკურნალო დახმარების შესახებ.

— გარდაიცვალა საქართველოს ექსარხოსად ნამყოფი მიტროპოლიტი კიევისა ფლაბიანე.

— მუსულმანთა საზოგადოებამ იმამ გუსეინ-აშურის მოწამებრივ სიკვდილის თავზე სასაფლაოზე დიდი ამბით გადიხადა ხსოვნა განსვენებულისა.

— სარატოვში გარდაიცვალა სახელმწიფო სათათბიროს წევრი ჰოლა ლომთათიძე.

— მეფის ნაცვლის სამოქალაქო ნაწილის თანაშემწე გოფმეისტერი ნ. ლ. პეტერსონი სამსახურიდან გადადგა. მის ნაცვლად [illegible] დაინიშნა.

— მეფის ნაცვლის თავმჯდომარეობით გამართულ თათბირში სიძვირის გამო მიწვეულ იქმნენ ქართულ საქვ. მოქმ. საზოგადოების მხრივ პ. ა. გოთუა, მ. ვ. მაჩაბელი და დ. ლუკაშვილი.

— ს. სურებში, ოზურგეთის მ., შესდგა მეთამბაქოეთა მწარმოებელთა კავშირი.

— მეფის ნაცვალი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ოჯახობით და ამალით წაბრძანდა მცხეთას და დაესწრო სვეტი ცხოვლის ტაძარში დაკრძალულ თ-დ კ. ა. მუხრან-ბატონის ნახევარ წლის პანაშვიდს. დიდ სტუმარს თ-დ დ. ე. ჩოლოყაშვილმა და ეპისკოპოს ანტონმა სიტყვით მიმართეს. მეფის ნაცვალმა 1000 მანათი გადასცა ეპ. ანტონს სვეტი ცხოვლის განსაახლებლად.

— მოასვენეს ჰოლა ლომთათიძის ნეშთი.

— სახალხო სახლში გაიხსნა ქართულ თეატრის სეზონი ვ. შალიკაშვილის „გადაჭრილ მუხით“.

— წმ. ნინოს სასაფლაოზე ჰოლა ლომთათიძე დაკრძალეს.

— მეფის ნაცვლის მეუღლის დიდ მთავრინა მილიცა ნიკოლოზის ასულთან სადარბაზოდ იყვნენ წარჩინებულ ქართველ მხედართა მეუღლენი.

## წერილი ქუთაისიდან

ქართული **ენის სწავლების** შესახებ პირველდაწყებით უმაღლეს სასწავლებლებში, ინსპექტორების ყრილობაზე მოხსენება წაიკითხა მღვდელმა ეპიფანე ჩხაიძემ, რომელიც თხოულობდა: 1) ქართულ ენას კვირაში დაეთმოს არა ნაკლები ექვსი გაკვეთილისა. და 2) ქართული ენის მასწავლებელი ნივთიერათ უზრუნველყოფილი იყოს, როგორც სხვა საგნების მასწავლებლები.

მამა ეპიფანემ ყრილობაზე ქართული ენის შემდეგი პროგრამა წარადგინა: ახალი ლიტერატურა XIX საუკუნის დასაწყისიდან. გარჩევა საუკეთესო მწერლებისა მათ ბიოგრაფიებით. ლიტერატურული მიმართულება XIX და XX საუკუნეში ძველ მიმართულებათა დაკავშირებით და ძველი ლიტერატურის შესწავლით. განსაკუთრებულათ შესწავლა XII საუკუნის ლიტერატურისა სახელდობრ „ვეფხის-ტყაოსნისა“ და დახასიათება XVII—XVIII საუკუნოების მწერლებისა.

წერითი ვარჯიშობა, გრამატიკისა და სიტყვიერების თეორიის შესწავლით და შესწავლა საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიისა.

ყრილობამ პროგრამის შედგენა მიანდო ჰიათურის სასწავლებლის გამგეობას, რომლის შესახებაც ინსპექტორებს თათბირი ექნებათ მომავალ ივლისის ყრილობაზე. ჯერ-ჯერობით კი პირველ დაწყებით—უმაღლეს სასწავლებლებში კვირაში ქართულ ენას 4 გაკვეთილი დაუთმეს. დღემდის კი ზოგ სასწავლებლიდან ქართული ენა სრულიად განდევნილი იყო.

## გორის ამბები

წერა-კითხვის საზოგადოების გორის განყოფილების გამგეობის თაოსნობით ამ საზოგადოებასთან დაარსდა დრამატიული სექცია, რომელიც დაექვემდებარა წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას. 9 იანვარს, ქალაქის სამმართველოს დარბაზში შესდგა კრება, რომელზედაც დაარსდა მუდმივი დრამატიული წრე, რეჟისორად აირჩიეს დრამატურგი, პატივცემული ნიკო შიუკაშვილი, რომლის უმთავრეს გულ-მოდგინე შრომის მოყვარეობაზედ და ცოდნაზედ საფუძლიანი საძირკველი ჩაეყარა ამ ახალს დრამატიულს წრეს. არჩეულ იქმნენ აგრეთვე სცენარიუსად დავით ამირაჯიბი; რეკვიზიტორად ვ. ვაჩიხერიძე და დეკორატორად ესტატე ხუციშვილი. ამ ახლო მომავალში დასდგამენ ი. გედევანიშვილის „გამცემს“ შემდეგ სისტემატიურად გამართავენ წარმოდგენებს ყოველ თვე...

ნამდვილს დღესასწაულის გამართვას აპირებენ გორელი ქართველი ქალები თოთხმეტ იანვრისთვის. ამ დღეს დილით ქართველ ქალთა საზოგადოება „მანდილოსანი“ აკურთხებს უფასო სკოლას ღარიბთათვის, რომელსაც ხსნის სრულს თავის ხარჯზედ, სამოსწავლო ნივთებიც უფასოდ დაურიგდებათ ბავშვებს, რომელთა რიცხვი 40-დე ავა. მათ შორის 20 ბავშვი მიიღება ომისაგან დაზარალებულ ოჯახებიდგან, ოცი კი ღარიბ მოქალაქეებიდგან. საღამოთი საკრებულო დარ-

ბაზში გამართავს მორიგს ტრადიციულს წლიურს საღამოს, მოწვეულნი ბრძანდებიან თბილისიდგან მსახიობნი, რომელნიც წარმოადგენენ პიესას „პირველი ბუზი“. აჩვენებენ ცოცხალს სურათებს. გუნდი შეასრულებს სიმღერებს. საზოგადოდ „მანდილოსანს“ ეტყობა სიცოცხლის მაჯის ცემა.

**ურბნელი ვახო.**

# ეგვიპტისკენ გალაშქრება

ამ ჟამად ოსმალეთში და გერმანეთში დიდის ამბით იკვლევენ მორიგ საკითხს თუ ეგვიპტისკენ და ინდოეთისკენ როდის და რა გზით გაილაშქრონ. ბევრს ასეთი განზრახვა ფანტასტიურად მიაჩნიათ, ზერელედ, მაგრამ თუ დაუკვირდებით აქ არა არის რა არც ფანტასტიური და არც გასაკვირველი.

პოლიტიკური თვალსაზრისით ასეთი გალაშქრება სრულიადაც არ არის საზღაპრო თუ გავიხსენებთ თანამედროვე განვითარებულ ტეხნიკას, ორგანიზაციების საუცხოვო მოწყობილებას და სხვა. მით უმეტეს ეს მოსალოდნელია მოხდეს ასე, ასე რომ გერმანელთ სურთ ამით ზარი დასცენ ინგლისს და აიძულონ იგი სეპერატიულ ზავზე. მოკავშირეთა შორის ყველაზე უჯიათი და უსასტიკესი მეტოქე ისევ ინგლისია, მან ყველაზე ნაკლები დაჰკარგა და იზარალა ამ ომში და რაც დაჰკარგა აინაზღაურა კოლონიების შეძენით. მაშასადამე, გერმანეთმა უნდა ისეთი რამ იღონოს, რომ სწორედ ინგლისს დასცხოს და ფრიად საგრძნობელი ზარალიც მიაყენოს. ასეთ გამოსავალ წერტილად ეგვიპტე და ინდოეთია.

ამასთანავე საჭიროა თვით იმპერატორ ვილჰელმსაც გაეწიოს ანგარიში. გათამამებული მთელი რიგი გამარჯვებით იგი ლამობს ეგვიპტის ფარაონებს დაედაროს და ალექსანდრე მაკედონელს და ნაპალეონს ერთად აღებულს. თუ არ დავივიწყებთ იმ გარემოებას, რომ სამაჰმადიანო ქვეყნები დიდი ხანია იცნობენ მას ჯერ კიდევ იერუსალიმში მოგზაურობის დროს, ამასთანავე გავითვალისწინებთ ამ ქვეყნის შვილთ გატაცებას, სტიქიურს ბუნებას, მაშინ დავინახავთ, რომ სტრატეგიული თვალსაზრისით ასეთს ლაშქრობას დიახაც რომ კარგი ნიადაგი ჰქონია.

ახლა საკითხია თვით გზები და ჯართა რაოდენობა რამდენად შეუწყობს ხელს ასეთს ლაშქრობაში?

ასეთ ოპერაციების მოსაწყობად ნაბიჯი უკვე გადადგმულია. ვენა-ნიში-სოფია-ფილიპოპოლი და სტამბული უკვე ბურთსავით შეკრულია. მცირე აზიაში ხაიდარ-ფაშიდან მოყოლებული აზიის ნაპირებზე, ბოსფორის გასწვრივ ესკი-შერაუდე, საიდანაც ცალკე შტო მიდის აზრუმისკენ ანგორის მიმართულებით, ამას გარდა, კონიას გზა თავრიზის გორაკებს შუა მოფენილია რკინის გზებით. ამავე მხარეს რკინის გზები გაუყვანიათ ადანისა და ალეპოს შუა, შემდეგ გერმანიისა და ალექსანდრეტისკენ. ალეპოდან ორი შტო მიდის, სირიისა მედინისაკენ და დერეადან ბირ-ესაბისაკენ, რაიც ეგვიპტიდან 54 კილომეტრის მანძილზეა და ბაღდადის გზა, რომელიც მესოპოტამიისკენ მიემართება ტიგროსის ველისკენ. თუნდ მხედველობაში არ მივიღოთ ის გარემოება, რომ ყველა ჩამოთვლილ ადგილებში გაჩქარებული ინტენსიური მუშაობაა გზების გასაუმჯობესებლად, ყველა ესეც საკმარისია, რომ გამარჯვებული ფართო ლაშქრობისთვის ეზრუნათ და ეფიქრნათ კიდეც. ამის გარდა, ცნობებია, რომ რუშჩუკში გერმანელებს აუარებელი საწყობები დაუმზადებიათ მასალებისა რკინის გზების გასაყვან-გამოსაყვანად, რასაც პირდაპირ ანატოლიისაკენ ჰგზავნიან. ასეთივე ცნობაა, ბოსფორზე ორთქლის ბორანს ამზადებენ, რითაც გაადვილებენ მასალების გაზიდვასაო.

მაგრამ ჯერ ყველა არ ჩამოთვლილა: ბირ-ესაბადან მტერს რკინის გზა გაჰყავს 250 კილომეტრის მანძილზე სუეცის არხამდე. ეს მტრისთვის არავითარ საძნელო საქმეს არ წარმოადგენს. ამის დაპყრობით გერმანეთ-ოსმალეთს საუცხოვო ბაზა ექნებათ ეგვიპტისაკენ და ინდოეთისკენ გასალაშქრებლად.

ახლა ძალთა რაოდენობის საკითხია: ინდოეთში გასალაშქრებლად საჭიროა 300 ან 350 ათასი კაცი. ჯართა რაოდენობა კი ჯერ-ჯერობით ასეა განაწილებული: ოსმალეთს 7 არმია მოუმზადებია. პირველ არმიას ხელმძღვანელობს ფონ-დერ-ჰოლც ფაშა. ამ არმიის დანიშნულებაა ეგვიპტის წინააღმდეგ იმოქმედოს. ამ არმიის ნაწილი მესოპოტამიაში გადიყვანეს, სადაც ინგლის-ინდოელთა ცხენოსან რაზმებს ებრძვიან კიდეც. ორ დივიზიამდე ვარნა-ბურგასის გარნიზონს წარმოადგენს რათა შავი ზღვის სანაპიროები დაიცვას ბულგარეთის შესანახად.

**მეორე არმიას** ხელმძღვანელობს ვეკიბ-ფაშა.

**მეხუთეს**—ფონ-სანდერსი, რომელიც გალიპოლის ნახევარ კუნძულზე ხელმძღვანელობდა ოპერაციებს ინგლის-ფრანგთა ჯარების განსადევნად.

**მეოთხე არმია** ეკუთვნის ჯემალ-ფაშას, იგი სმირნიდან მოყოლებული სუეცის არხამდეა გამაგრებული და მთავარი ბინა დამასკში აქვს. ჰფიქრობენ, ეს არმია გაილაშქრებს ეგვიპტისაკენ.

**მეშვიდე არმიას** შეუძლიან დახმარება გაუწიოს მას თუ კი საჭიროება მოითხოვს ამას.

**მესამე არ.** ხელმძღვანელობს მეჰმედ-ქიამილ-ფაშა, იგი კავკასიის ჯართა წინააღმდეგ მოქმედებს. ეს ყველაზე დიდი ლაშქარია და შეიცავს 150 ათას კაცს, მაშინ როდესაც სხვა არმიები შესდგებიან 100—120 ათასი კაცისაგან.

ყველა მოყვანილ ცნობებიდან აშკარად სჩანს, რომ აქედ სამოქმედოდ 350 ათასი კაცი მაინცა ჰყავთ სულ ოსმალეთის ჯარის კაცებისაგან შემდგარი. როგორ და რით დაეხმარება გერმანეთი, ეს ძნელი გამოსაცნობი აღარ არის, ასე რომ ზღაპარი სინამდვილედან შორს აღარ უნდა იყოს.

**უ. რ.**

# დაბა-სოფლები

**სამეგრელო.**

(შობა—ახალი წელი სოფლად)

სოფლის ერთფეროვან ცხოვრებაში დიდ რამეს წარმოადგენს ისეთი ბრწყინვალე დღესასწაულები, როგორიც არის აღდგომა, შობა, ახალი წელი.—ამ დღესასწაულებზე სოფელი ილვიძებს, ივიწყებს ყოველ-დღიურ ჭირ-ვარამს და რაც უნდა ღარიბი და დაქვეითებული ოჯახი იყოს, იქ ამ დროს მაინც სხვა ელფერი და სიცოცხლე შედის.—კაცი, ქალი, ბავშვი, მოხუცი და ახალგაზდა ერთვის „სადღესასწაულოდ“, ყოველს ოჯახში იკვლება საკლავი, მომზადებულია ღვინო, სასმელები და სხვა. იწყება ერთ მეორესთან მიმოსვლა მისალოცად, მხიარულება, სიმღერა, თამაში...

ყოველივე ეს საზოგადო მოვლენაა, ჩვეულებრივ დროს, მაგრამ წელს სოფელი სულ სხვა სურათს წარმოადგენს: პურის მოსავალი აღარ იყო, ღვინო სრულიად მოისპო, სასმელი აკრძალულია, საკლავი გაძვირებული, ახალი ტანსაცმელი მიუწვდომელი ხილია სოფლელისთვის და სოფელი სდუმს. სდუმს იგი და ძაძით შემოსილია კიდევ სხვა მიზეზით: მისი საუკეთესო წარმომადგენელნი ბრძოლის ველზე არიან. ზოგნი საავადმყოფოებიდან იწერებიან წერილს, ზოგნი—სანგრებიდან, ზოგნი - გერმანეთიდან და ზოგნიც... არსაიდან.—და სოფელმა სადღესასწაულო მხიარულება გადასდო სხვა დროისთვის: ის იდღესასწაულებს **ახალ წელს** მაშინ, როცა ეს საბედისწერო ომი დამთავრდება და შინ დაბრუნდება ის სოფლის საუკეთესო ახალგაზდობა, რომელიც დღეს, გიჟურ, ჯოჯოხეთურ ომის ფერხულშია ჩაბმული: იდღესასწაულებს მაშინ, როცა მათი უმანკო სისხლი მოუტანს სამშობლოს **იმას**, რასაც იგი დიდი ხანია სამართლიანად მოელის.

**კაი.**

# პროვინციის ქრონიკა

**ახალ-სენაკი.**

წყალდიდობამ მთელი დასავლეთი სამეგრელო გაანადგურა. საშინელ მდგომარეობას განიცდიან. გაჩნდა სხვა და სხვა ავადმყოფობა, ხალხი შველას თხოულობს, მაგრამ არსაიდან ნუგეშის ხმა არ ისმის.

**სოფ. საყულია** (ქვემო იმერეთი).

გლეხების მდგომარეობა თან და თან უარესდება. ამისი მიზეზია ათასნაირი არა პირდაპირი გადასახადი, უსარგებლო ხარჯები, ინტელიგენტთა უმოქმედობა, მუშა ხელის ომში გაწვევა და ჩარჩების გალაშქრება უმწეო ოჯახებზე.

**ს. კულაში** (ქუთ. მაზრა).

ამ სოფლის მცხოვრებნი დიდ საქმეს უკეთებენ მომავალ თაობას. გახსნეს სკოლები, დააარსეს მრავალი კულტურული დაწესებულებანი და კარგ ნიადაგზეც დააყენეს.

# სომეხთა ცხოვრება

**შავი სახადი ეჩმიაძინში.**

ქალაქთა კავშირის რწმუნებულს დეპეშით აცნობეს, რომ ეჩმიაძინში, გამოქცეულთა შორის კვლავ თავი იჩინა შავმა სახადმა. 5 იანვრამდე ავად გამხდარა 86 კაცი.

**სომეხ მასწავლებელთა კავშირი.**

კავკასიის სომეხ მასწავლებელთა კავშირმა დაადგინა შესცვალოს წესდების მუხლი იმ გვარად, რომ კავშირის წევრებად ირიცხებოდნენ არა მხოლოდ სომეხთა სკოლების მასწავლებლები, არამედ ყველა სომეხი მასწავლებლები, როგორც სომხების სკოლებისა ისე მთავრობის უწყებაში მსახურნიც. კავშირმა გადასწყვიტა კათალიკოსს დეპუტაცია გაუგზავნოს და აცნობოს სომეხ მასწავლებელთა უნუგეშო ნივთიერი მდგომარეობა.

# მაჰმადიანთა ცხოვრება

**მაჰმადიანობა ომში.**

„აჩ. სოზ“-ის სიტყვით, რუსეთის მაჰმადიანობას ჯარში გაყვანილი ჰყავს მილიონ ნახევარი მეომარი მაინც. არ მოიპოვება არც ერთი ოჯახი, რომელიც ძაძებით არ იყოს შემოსილი მახლობელის დაკარგვის გამო.

გაზეთი აღნიშნავს აგრედვე კავკასიელ მაჰმადიანთა მწარე ხვედრს, ყარსისა და ბათომის ამბებით გამოწვეულს.

**გამოქცეულთა რაოდენობა**

ერევნის მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოების ცნობებით, სურმალის მაზრაში ამ ჟამად იმყოფება 9000 გამოქცეული მაჰმადიანი, თუმცა დღევანდლამდე აღნუსხულია მხოლოდ 5000. ბაქოდან მათ ოთხი ვაგონი ფქვილი მიაშველეს, თუმცა ჯერ 2 ვაგონის მეტი არ მიუღიათ. ერევანშიაც უშოვნიათ ერთი ვაგონი ფქვილი და გამოქცეულები ერთი თვით უზრუნველუყვიათ.

**ომი და თათრები.**

ომისაგან დაზარალებულთ დამხმარე კომიტეტს ბაქოში მოუვიდა დეპეშა, ბათომის ოლქის გენერალ-გუბერნატორისაგან შემდეგი შინაარსის: „დავეხმაროთ და გამოვიღოთ ჩვენი წვლილი ხოპის ხეობაში ომისაგან დაზარალებულ თათრებისათვის, რომელნიც 2.600 აღემატებიან. გენერალ ლიახოვის აზრით საჭიროა ფული დაახლოვებით 13.000 მან. ე. ი. 5. მან. სულზე მაინც.

# მუშათა შორის

სად. ბალაჯარის მუშებს ძალიან ცუდ პირობებში უხდებათ მუშაობა, ვერ არის აქ მოწყობილი რიგიანათ სასადილოები, ამ დიდ სადგურზე სულ ორი სასადილოა, ისენიც ისეთი უსუფთაო, რომ კაცს არ შეესვლევინება.

# წერილი რედ. მიმართ

ერთი წელიწადი შესრულდა, რაც ადგილობრივმა ქ. შ. წ.-კ. ს. განყოფილებამ დააარსა აქ მგოსან აკაკის სახელობაზე ქართული პირველდაწყებითი სკოლა. ზუგდიდის მაზრაში, სამეგრელოს იმ კუთხეში, სადაც ქართული ენა თითქმის დავიწყებულია, ქართული სკოლის დაარსებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ქართველთა ეროვნული თვითშეგნება — განვითარებაში საძირკველი უკვე ჩაყრილია, ნიადაგი მზადაა. აწი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად კარგ ნიადაგზე იქნება დაყენებული ამ სკოლაში სწავლა-აღზრდის საქმე, თუ რამდენად გულმხურვალედ და შეგნებულად მოეპყრობა მას საზოგადოება. განყოფილების გამგეობას, სკოლას რომ აარსებდა, სრული იმედი ჰქონდა, ადგილობრივი საზოგადოება მხურვალე თანაგრძნობას გაუწევდა მას ამ საქმეში და სკოლის ნივთიერად დასაკმაყოფილებლად არ დაიშურებდა წვლილს. გამგეობას იმედი არ გაუცრუვდა. სკოლის არსებობის პირველმა წელმა დაგვანახვა, რომ საზოგადოება მას მოუვლის. სკოლის სასარგებლოდ გამგეობის ყოველ მოწოდებას საზოგადოება სიამოვნებით გამოეხმაურა. ქ. ქ. ე. მ. ბერიძისამ, ზ. ი. ჟორდანიამ და ა. ა. ჰაჭიაშვილისამ, რომელთაც ღრმა პატივისცემა და სიყვარული აქვთ დამსახურებული ადგილობრივ საზოგადოებაში, თავიანთი შრომით, ენერგიით და უსაზღვრო სიყვარულით იმ საქმისადმი, რომლისათვისაც სთხოვა მათ გასჯა გამგეობამ, დიდი სარგებელი მოუტანეს ჩვენს სკოლას; მათი თაოსნობით და გამგეობით გაიმართა სეირნობა, რომელმაც დასტოვა სკოლის სასარგებლოდ წმინდა შემოსავალი 500 მანეთამდე; მათ გამართეს სკოლისავე სასარგებლოდ ხელის მოწერა—დაუგზავნეს საპატიო პირებს ბარათები და შეაგროვეს 700 მანეთამდი. ასე რომ მათი ღვაწლით და მეცადინეობით გამგეობას შემოუვიდა სკოლისათვის 1200 მ. (დაწვრილებითი ანგარიში თავის დროზე იყო გამოცხადებული გაზეთებში.) გამგეობა დარწმუნებულია, რომ ისეთი შეგნებული და მამულისადმი გულშემატკივარი პიროვნებები, როგორიც ქ. ქ. ეკატერინე მათეს ასული ბერიძისა, ზინაიდა ივანეს ასული ჟორდანია და ანასტასია ანდრიას ასული ჰაჭიაშვილისა არიან, თავიანთი მეცადინეობით ააყვავებენ ჩვენ ქართულ სკოლას. გამგეობა უგულითადეს მადლობას უძღვნის მათ.

თავმჯდომარე თ-დი **ა. ფაღავა.**

მდივანი **ი. ფახიძე.**

# თეატრი და ხელოვნება

**ქუთაისი.**

**ნიკ. გვარაძის ბენეფისი.** დღეს, 13 იანვარს ქალაქის თეატრში ჩვენი სცენის ერთგული მოღვაწის ნიკ. გვარაძის ბენეფისი იმართება. ქართული დრამის ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება ან. ერისთავ-ხოშტარიას რომანი „მოლიპულ გზაზე“. რომანი, პიესათ გადმოკეთებულია ვ. გარიკის (ვანჩაძე) მიერ.

რამდენათ უნაკლულოა თვით რომანი, (როგორც ამბობენ) იმდენათ მშვენიერია პიესა გადმოკეთების მხრით; შეიცავს 5 მოქმედებას და 9 სურათს და ქართულ სცენაზე პირველად იდგმება.

უმთავრესი როლები განაწილებულია ამ გვარად: **ოქროს**—შესრულებს თვით მობენეფისე **ნიკ. გვარაძე; მაკინეს—ეფ. მესხი; ქეთინას—მ. მდივანი** ⁊ სხვ.

ბ. ნ. გვარაძეს ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს, როგორც მსახიობს. იგი ყოველთვის ბეჯითად ემსახურება მშობლიურ ხელოვნებას, ნაკისრებ საქმეს ყოველთვის წესიერათ ასრულებს და მისი თამაში საზოგადოებას ყოველთვის აკმაყოფილებს.

ბენეფისი მსახიობისათვის დღესასწაულია. იმედია ქუთაისის საზოგადოება დააფასებს მსახიობის ნიჭს. **№**

# ნ ა რ ე ვ ი

**მფრინავი ნავები.**

ამ ბოლო დროს გამოიგონეს ახალი მოტორიანი ნავები, რომლებიც საათში 90—120 ვერს გასცურავენ. ნავებს ფრთები აქვს გაკეთებული და ისევე სარგებლობს წყლით როგორც ჰაეროპლანის ფრთები ჰაერით. ნავი სიგრძით თითქმის 9 არშინია, სიგანით 5 არშინი. ფრთები ორივე მხარეს აქვს სიგანით არშინ ნახევარი. ნავის მამოძრავებელი მოტორი 250 ძალიანია. საჭე ნავის ცხვირთან არის გამართული, მესაჭე კი ნავის ბოლოში ზის. ეს ნავის მიბრუნ-მობრუნებას აადვილებს სწრაფი სრიალის დროსაც.

თუ ნავი მძიმედ მიდის, საათში მაგალ. 22 ვერსს, ნავი ღრმადაა წყალში ჩამჯდარი, მხოლოდ ცხვირი აქვს ამოყოფილი ასე 20 გრადუსზე. საათში 45 ვერსამდე თუ გადის, ნავის ცხვირი ნელნელა ძირს ეშვება. ხოლო როცა ნავი გაქანებული მისრიალებს, ნავი სწორედ არის გამართული და წყლის ზედაპირზე მიჰქრის.

**მსოფლიოს ჯარი.**

მთელს ქვეყნიერობაზე 21 მილიონი ჯარის კაცია.

მთელი ეს ჯარი მწკრივათ რომ დააყენოთ თავისი ბარგის ურმებით, იმ. სიგრძე რაზმი იქნება, რომ ჩვენ წინ გავლას 400 დღეს მოანდომებს ანუ 13 თვეს.

ამ ჯარის გამოსაკვებად, კაცის თავზე 3 გირვანქა პური, რომ ვიანგარიშოთ, ყოველ დღე საჭიროა 64 მილიონი გირვანქა, ან მატარებელი რომლის სიგრძეც 14 ვერსი იქნება.

ყველა სახელმწიფოების საომარი გემების გასახურებლად დღე-ღამეში საჭიროა 30 ათასი ვაგონი ქვანახშირი, რომელიც სიგრძით 210 ვერსის მანძილს დაიჭერს.

21 მილიონი თოფი ერთბაშად რომ გავარდეს იმის ძალას შეუძლიან ადგილიდან დასძრას 820 ათასი კილოგრამის სიმძიმე,

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

### ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისიდან გადის:**

| | | № | ს. წ. |
|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. მ. | 9 | . 8.53 საღ. |
| „ | საფ. „ | 3 | . 9.58 დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. „ | 19-20 | 3.20 ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი „ | 4 | . 10.20 საღ. |
| „ | ჩქარი „ | 6 | . 12.8 დღის |
| „ | სამგ. „ | 8 | . 11.13 ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | . 11.13 ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. მ. | 4 | . 9.30 საღ. |
| „ | სამგ. „ | 10 | . 9.51 დილ. |
| ბაქოდან | საფ. „ | 3 | . 9.3 დილ. |
| „ | ჩქარი „ | 5 | . 7.41 საღ. |
| „ | სამგ. „ | 7 | . 1.42 ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. „ | 19-20 | 7.25 დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | . 8.8 დილ. |

### კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | |
|---|---|
| ტფილისიდან . . | 8 ს. 58 წ. დილ. |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 „ 23 „ „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 „ 43 „ „ |
| ვაზიანიდან . . . | 10 „ 42 „ „ |
| იორიდან . . . | 11 „ 35 „ „ |
| საგარეჯოდან . . | 12 „ 17 „ „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ 15 დღის |
| მელაანიდან . . | 2 „ 37 „ „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ 08 „ „ |
| ვაჩნაძიანიდან . . | 4 „ 58 „ „ |
| თელავში მიდის . | 5 „ 35 „ „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ 18 „ „ |
| კარდენახიდან . . | 4 „ 50 „ „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 „ 15 „ „ |

**თ ე ლ ა ვ ი დ ა ნ**

| | |
|---|---|
| თელავიდან . . . | 8 ს. 58 წ. დილ. |
| ვაჩნაძიანიდან . . | 9 „ 45 „ „ |
| გურჯაანიდან . . | 10 „ 46 „ „ |
| მელაანიდან . . | 12 „ 02 „ „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ 13 „ დღის |
| საგარეჯოდან . . | 2 „ 15 „ „ |
| იორიდან . . . | 2 „ 53 „ „ |
| ვაზიანიდან . . . | 3 „ 40 „ „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . | 4 „ 31 „ „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 4 „ 46 „ „ |
| თბილისში მიდის . | 5 „ 01 „ „ |
| წნორის-წყლიდან . | 9 ს. 16 წ. დილ. |
| კარდანახიდან . . | 9 „ 46 „ „ |
| გურჯაანში მოდის | 10 „ 16 „ „ |

### სად გაიგებთ ცნობებს მოკლულთა, უგზო-უკვლოთ დაკარგულთა, დაჭრილთა და დატყვევებულ ჯარისკაცთა შესახებ.

1. მოკლულთა და უგზო-უკვლოთ დაკარგულთა შესახებ უნდა მიმართოთ შემდეგი ადრესით: Петроградъ, Караванная ул., д. № 1, особое дѣлопроизводство Гл. вного Штаба

2. დაჭრილთა შესახებ ცნობების მისაღებად საჭიროა მიმართოთ: Петроград, Басковская ул., д. № 12. Справочный отдѣл при Главномъ Управлении Российскаго Краснаго Креста.

3. ტყვეთ წაყვანილთა შესახებ უნდა მიმართოთ: Петроградъ, Инженерная, д. № 9, Центральное справочное бюро о военноплѣнныхъ при Главномъ Управлени Российскаго Краснаго Креста.

ცნობების მისაღებათ აუცილებლათ საჭიროა გარკვევით აჩვენოთ სახელი, მამის სახელი, გვარი და აღნიშნოთ ჯარის ის ნაწილი (კორპუსი, პოლკი და როტა), სადაც ჯარისკაცი მსახურობდა.

წერილში უნდა აღინიშნოს აგრეთვე სწორი ადრესი შემკითხველისა (სახელი, მამის სახელი, გვარი და გუბერნია, მაზრა და სოფელი, სადაც თვით ცხოვრობს).

### გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

> An die Kommandatur des Kriegsgefangenenlagers
>
> აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.
>
> Liebesgaben für die russischen Kriegsgefangenen.
>
> აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
>
> Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse, № 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

**ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:**

> Швейцарія Заказное
>
> Suisse. Recommandée Comité International de la Croix Rouge. Agence des prisonniers de guerre Genève.


1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

„განათლება“

ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო“, „თანამედროვე აზრი“, „ეშ. მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“ და იყიდება ახლად გამოცემული წიგნები ა. ბლდონის **„აკაკი და მისი პოეზია“** (რუსულ ენაზე), **„სქესობრივი საკითხი და ბავშვი“** ი. გომართელისა, **„მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები“**—მასლოვისა, **„ცხოვრების სიმღერები“**—ბეგლარ ახოსპირელისა **„კოოპერატივები იტალიაში“**—ნ. ჟორდანიასი და სხვა-და-სხვა ქართული წიგნები.

აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р Тавартниладз.

**კანტორის ადრესი:** Ольгинская 6.

წ ი გ ნ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა

„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).

ი. დ. კ ი კ ნ ა ძ ი ს ა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

თევზის მრეწველნი

ძმ. ძეძველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.




სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.